ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლიტერატურა

1309
2003



დავით ალმასშენებელი
ანდრე კარბელაშვილი

დიდთოვლობა
არჩილ სულაკაური

"ლიისსახნმენო" ჰიპოთეზები და ნეჯესის ნახმახოთელ "ქვათა ლალადის" იდუმალი ჰარმონია
მანანა სტვილია

თავმოყვეთილი ტალი
მარგარეტ იურსენარი

განქოხნინება ამეხიესელად

სარჩევი:

ანდრეე ჯაიბელაშვილი 2
დავით ალმაშენებელი

იუბილარი 5

ასე იწყებოდა... 6

ირჩილ სულიკაური 9
დიდთოვლობას

გიგი სულიკაური 12
ლექსები

მარგარეტ იუსენარი 14
თარგმნა მანანა გიგინეიშვილმა
თავმოკვეთილი კალი

ფოტო სტუმარი 16
ირმა გიგანი

მანანა სტვილია 18
„ლირსსარწმუნო“ ჰიპოთეზები და ნეკრესის წარმართულ „ქვათა ღაღადის“ იდუმალი ჰარმონია

გუჩამ ბედოშვილი 21
ირმა და ქორგუდა ირემი

ჯანსულ ჩარკვიანი 24
ჯანსულის სიცილ-ნათელები

ირაკლი სუთიძე 26
ვერნისაჟი

თარგმანი ნინო დგებუაძისა 28
განქორწინება ამერიკულად

საღომე ჯანელიძე 32
ამოდის, ნათდება!





დავით აღმაშენებელი (1073-1125)

ძველი ქართული პრესის ფურცლებიდან

1888 წლის 24 იანვარს გაზეთ „ივერიის“ მოწინავეედ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის წერილი, რომელიც მიეძღვნა დავით აღმაშენებელს.

დიდი ილიას თქმით, დავით აღმაშენებელი სადიდებელი იყო ქართველი ერისათვის არა მარტო როგორც სახელოვანი მეფე, არამედ როგორც დიდბუნებოვანი ადამიანი. ილია ჭავჭავაძე წერდა: აი ამისთანა კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არსსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოჰზარდა. ჩვენსა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონებელი დიდებული მეფე, დიდებული კაცი.

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, - ამბობს ჩვენი ერი: - ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა, ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფეს. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, და იქ, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა- დაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი.

ხშირად აქვეყნებდა წერილებს დავით აღმაშენებლის შესახებ „მწყემსი“. აღსანიშნავია, რომ „მწყემსმა“ ქართველი საზოგადოების ყურადღება გაამახვილა აღმაშენებლის ღირსეულად დაფასების შესახებ. კერძოდ, 1889 წელს „მწყემსი“ (N 19) გულისტკივილით წერდა:

„ვის არ უნახავს დიდი დავით აღმაშენებლის საფლავი? ვინ იფიქრებს, რომ უბრალო, ბრტყელი ქვის ქვეშ განისვენებს გვამი იმ დიდის კაცისა, რომელიც ოდესღაც მთელს კავკაზს აღავსებდა თავისი დიდებითა და სახელით და მბრძანებელი იყო მთელი კავკასიის ყელისა კასპის ზღვიდამ მოყოლებული შავ-ზღვამდე, იმ კაცისა, რომელმაც პატარ-პატარა, დაწიოკებულის და დაუძლურებულის საქართველოს მრავალ სამეფოებისა და სამთავროებისაგან შექმნა ერთიანი და ძლიერი სამეფო, - იმ ყოვლად სამაგალითოის გვამისა თავისი სარწმუნოების სიყვარულითა და წმინდის ზნეობითა, რომელმაც აღაშენა შესანიშნავი გელათის ტაძარი, დღემდე გადარჩენილი და მთლად შენახული სხვა მრავალი მისგანვე აღშენებული შესანიშნავი მონასტერთა და ტაძართაგან“.

და ამასთან დაკავშირებით, როგორც „მწყემსი“ წერდა, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გადაწყვეტილებით შეიქმნა კომიტეტი „განსაახლებლად სამლოცველო ეკვდრისა დავით აღმაშენებლის საფლავზე“. შეწირულობა ქუთაისში უნდა გაეგზავნათ იმერეთის ეპისკოპოსის სახელზე.

„მწყემსი“ 1891 წლის № 15-16-ში: „სრულებით არ ვფიქრობთ, რომ მცირე ძეგლი დაუდგათ თათრებისაგან ჩვენს მხსნელს, ჩვენს აღმაშენებელს და დამამკვიდრებელს დავითს!“

დღეს ასრულებულია დიდიხნის ნატვრა. დღევანდელმა თაობამ აღუმართა ძეგლი დიდ აღმაშენებელს თბილისში.

„საქართველოს კალენდარში“

1892 წლის „საქართველოს კალენდარში“ გამოქვეყნდა წერილი სათაურით „მეფე დავით აღმაშენებელი (1089-1125)“. როგორც მკითხველი მიხვდება, 1089 წელი - ეს იყო დავით აღმაშენებლის მეფობის დასაწყისი, ხოლო 1125 წელი - მისი გარდაცვალების დრო.

„დავით აღმაშენებელი რომ გამეფდა, მაშინ საქართველო ცუდს მდგომარეობაში იყო, თბილისი და იმისი არე-მარე, სომხეთი და ტაო თურქებს ეჭირათ. კახეთი ცალკე სამეფოს შეადგენდა. თვით ქართლიც საშინელ შეწუხებაში იყო თურქთა შემოსევით. ამასთან თრიალეთი ეჭირა ლიპარიტ ორბელიანს, რომელიც თავის მამა-პაპის მსგავსად, მეფეს ეურჩებოდა. საქართველოს მეფეები ცხოვრობდნენ იმერეთში და სატახტო ქალაქად ჰქონდათ ქუთაისი. არაბთა და თურქთა ბატონობის გამო ქართველები ზნეობით დაცემულები იყვნენ. ამნაირად საქართველოს ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ უჭირდა. საჭირო იყო თურქების განდევნა, საქართველოს გაერთიანება, მძლავრის დიდებულების დაცხრომა, ერის ბნეობის გამოსწორება და კეთილდღეობის ჩამოგდება. დავითიც შეუდგა ამ მიზნის შესრულებას", - წერდა „საქართველოს კალენდარი".

შემდგომ ასევე უბრალოდ მოთხრობილია იმაზე, თუ როგორ გადაწყვიტა დავით აღმაშენებელმა რთული მდგომარეობიდან გამოსვლა. ჭკვიან, პატიოსან, მამაც და მოხერხებულ მეფეს უპირველესად, ქართველ დიდებულთა შორის ურთიერთდამოკიდებულება უნდა გაეუმჯობესებინა, ლიპარიტ ორბელიანი საქართველოდან გაუძევებია და მერე კი გარეშე მტრებთან დაუწყია ბრძოლა. ამ საქმეში მხარში ამოსდგომიან მისი შვილი დიმიტრი, გიორგი ჭყონდიდელი, აბულელი, ორბელი და სხვები.

„საქართველოს კალენდარი" აღნიშნავდა: „დავითმა შეადგინა ჯარი ქართველების გარდა ყივჩაყთაგანაც, რომელნიც ცოლ-შვილით გადმოასახლა საქართველოში. 30.000 ყივჩაყი მუდამ სამრად მზად იყო. დავითმა დაამარცხა ყველა თავისი მტრები.

დავით აღმაშენებლის მეფობისას საქართველოში აიგო გელათის დიდებული ტაძარი და ბევრი საყდარი, საავადმყოფოები (ქსენონები) და სასტუმროები (ქარვასლები) როგორც ქართველებისთვის, ისე უცხოელებისათვის. სადაც უნდა ყოფილიყო - ლაშქრობაში თუ ნადირობაში, იგი წიგნებს თან ატარებდა. ზოგიერთ ქართველთა და სომეხთა შორის მაშინ უსიამოვნება იყო ჩამოვარდნილი და ეს საკითხი რომ მოეგვარებინა აღმაშენებელმა მოიწვია ქართველი და სომეხი სამღვდელოების წარმომადგენლები და უშუალოდ მიიღო მონაწილეობა ამ რთული საკითხის გადაწყვეტაში.

დავით აღმაშენებელმა ამაგი დასდო საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ქართველთა მონასტრებს. სინას მთაზე ერთ-ერთი ქართული ტაძრის აგება დაკავშირებულია დავით აღმაშენებლის მოღვაწეობასთან. მემატიანეთა ცნობით: „დავითმა სინას მთაზე ააშენა მონასტერი და მრავალ განძს ათასობით და ათიათასობით უგზავნიდა ყოველწლიურად; უგზავნიდა აგრეთვე წიგნებსა და სიწმიდეთა სამსახურებელს, რომლებიც ვის შეუძლიან დასთვალოს?!"

დავით აღმაშენებელი დახმარებას უწევდა ათონის ქართულ სავანეს, პეტრიწონის მონასტერს, შავი მთის სავანეებს. მან ბიზანტიის სკოლებში განათლების მისაღებად და ენების შესასწავლად 40 ახალგაზრდა გაგზავნა.

ვრცელი წერილი მიუძღვნა დავით აღმაშენებელს 1903 წლის 26 იანვარს გაზეთმა "ივერიამ".

„ივერია" წერდა

„დღეს, 26 იანვარს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია პატივსა სცემს ხსენებას ქართველთა უდიდებულესის მეფის წმ. დავით აღმაშენებლისა.

დიდებული ღვაწლი ამ მეფისა დაედო საფუძვლად ქართველთა ერის ყოველ-მხრივს წარმატებას შემდეგს საუკუნოებში.

მეფე დავით აღმაშენებელი სიჭაბუკის ჟამს აღვიდა სამეფო ტახტზედ 1089 წელსა. იმის გამეფების დროს საქართველო ჰგმინავდა სელჯუკ-თათრების მძიმე უღელის ქვეშ, - ქართლ-კახეთი მთლად განადგურებული იყო, ქართველთა ხნეობა მეტის მეტად დაცემული. თვით სასულიერო წოდება უზნეობის მაგალითს აძლევდა სამწყსოს, ხალხის სწავლა-განათლების საქმე მივიწყებული იყო", - ვკითხულობთ „ივერიაში".

გაზეთი დაწვრილებით მიმოიხილავდა დავით აღმაშენებლის თანმიმდევრულ ღონისძიებებს ვითარების შესაცვლელად, იმოწმებდა კონკრეტულ მაგალითებს და ბოლოს დასძენდა: „დიდებული მეფე გარდაიცვალა 1125 წელს, იანვრის 24-ს და დიდის გლოვისა და გოდების შემდეგ დასაფლავებულ იქმნა გელათის მონასტერში, რომლის აშენებაში იგი დიდს მონაწილეობას იღებდა".

საქართველოს ეკლესიამ შეიტანა დავითი, მამა ერისა, სამაგალითო ბნეობით შემკულ წმინდანთა შორის და დაადგინა დღესასწაული მისის ხსენებისა 26 იანვარს.

და აი, ყოველივე ამის შემდეგ მოხდა გასაოცარი ამბავი.

„გაიტაცეს ბეჭედი აღმაშენებლის"

1904 წლის 19 ივლისს გაქურდეს გელათის მონასტერი. გაუტაცნიათ დავით აღმაშენებლის ბეჭედი. ამ მკრეხელურ ფაქტთან დაკავშირებით უნებლიედ გაგვახსენდა გაზეთ „ივერიას" სიტყვები: „მთელის მისის (დავით აღმაშენებლისა - ა.კ.) მეფობის დროს უბრალო ქურდობაც - კი არა მომხდარა" („ივერია", 1902, 26 იანვარი).

„შეიარაღებული ქურდები, რიცხვით რვა კაცამდე, შევარდნენ იმ დროს, როდესაც ბერები საღამოს ლოცვაზე იდგნენ. ოთხი ეზოში დარჩა, ოთხი ეკლესიაში შევიდა. უბრძანეს რა ბერებს გაჩუმებულიყვნენ, ყაჩაღები შეუდგნენ ჩხრეკას, წაიღეს ბეჭედი მეფე დავით აღმაშენებლისა, ძვირფასი თვლებით შემკული ქოში თამარ მეფისა და სხვა ნივთები. ფულად წაიღეს ოცდა ათ თუმნამდე".

ასე აცნობა ქართველ ხალხს ეს ზარდამცემი ამბავი გაზეთში "ცნობის ფურცელმა" 1904 წლის 24 ივლისს.

გაოცებული დარჩა საქართველო. ნუთუ აქამდე დაეცნენ ქართველები?

„ცნობის ფურცელმა" დაბეჭდა წერილი - „გელათის მონასტრის გაძარცვის გამო", რომელშიც ვკითხულობთ:

„გელათის მონასტერი აშენებულია მეფე დავით აღმაშენებლის მიერ, რომელიც მეფობდა 1089-1125 წლებში. გელათის მონასტრის აშენება დავითმა განიზრახა სელჯუკებზე გამარჯვების სახსოვრად. მონასტერი დაამთავრა მისმა შვილმა დემეტრემ. გელათში შეიკრიბნენ მაშინდელი გამოჩენილი პირები. აქ გადმოიტანეს კლარჯეთიდან ხახულის მღვთის მშობლის ხატი... თამარ მეფემ შეამკო იგი ძვირფასის საჩუქრებით... ბევრი განსაცდელი შეხვედრია გელათს საქართველოს მრავალ ტანჯულის ისტორიის განმავლობაში, მაგრამ რაც ამ მშვიდობიანობის დროს დაემართა, თვით გამძვინვარებულ სპარსთა და ოსმალთა დროსაც არ ყოფილა".

ქართული გაზეთები გამოხატავდნენ მთელი ხალხის აღშფოთებას.

ეს ამბავი ისარივით მოხვდა გულში აკაკი წერეთელს. ვაი, ჩვენი ბრალიო! - აღმოხდა მგოსანს. გაზეთმა „ივერიამ" 8 აგვისტოს დაბეჭდა:

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძველი დიდების საჩინო ნაშთი,
შენი გელათი, დიდი ტაძარი
სადაცა ბრწყინავს სული დავითის
და თამარისა, ვითა ლამპარი,

ვის სიწმიდესაც, ბარბაროსთა დროს
მტერი ურწმუნოც ვერ შეეხებია, -
ის საეროვნო „წმინდა-წმინდათა“
დღეს თვით ქართველსვე დაჰვიწყებია.

და შეუხია, როგორც იულას
ამბორის ყოფით, გამცემი ხელი:
გაუტაცია საისტორიო
საშვილიშვილო ნაშთები ძველი!

ის წმინდა ქოში, რომელსაც თამარ
ლოცვა-ვედრების დროს გაიხდიდა
და ფეხ-შიშველა, სამშობლოს მსხვერპლად,
წმინდა ტაძარში წმინდა ცრემლს ჰღვრიდა,

და ის საცერე დიდი ბეჭედი,
აღმაშენებელს რომ თითზე ეცვა
და კურთხეულმა მისმა მარჯვენამ
საქრისტიანო რითაც დაიცვა,

სხვა სიმდიდრესთა, ბოროტ-განმძრახველს
გაუტაცია ისინიც ერთად.
აღარ უცვნია გადარჯულებულს
ტაძარი ტაძრად და ღმერთი ღმერთად!...

ვეღარა ვხედავ იმას, მგოსანო
რაც რომ გელათზე შენ დაგვიწერე!...
და ნეტავი შენ, რომ შენც ჩვენსავით
ამ წამხდარ დროის აღარხარ დამსწრე!“

აკაკი წერეთლის ეს ტკივილი მთელი საქართველოს ტკივილი იყო.

როგორც გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იტყობინებოდა, 1904 წლის 30 ივლისს - „ერთი ავაზაკი, გვარად ბალანჩივაძე, პოლიციას კიდეც შეუპყრია. სხვების დასაჭერად საგანგებო ზომებია მიღებული“.

უნდა ვიფიქროთ, იმდროინდელი პოლიცია ფეხზე იყო დამდგარი. ვინ იცის, სხვა შემთხვევაში როგორ მოიქცეოდნენ ისინი, მაგრამ ახლა ხომ მართლაც საგანგებო შემთხვევა იყო. ხალხი არ აპატიებდა წესრიგის დამცველთ უნიათობას.

გადიოდა ძიების მძიმე დღეები.

და საქართველომ ამოისუნთქა:

„სვირის სადგურზე შეუპყრიათ სამი კაცი, ალექსი ჩხეიძე, სილივესტრ სვანიძე და გიორგი კანდელაკი, რომელთაც გელათის მონასტრის გაძარცვა (19 ივლისს) ჰბრალდებოდათ. გელათის გარდა, ამათ სხვა ძარცვა-გლეჯაც ჩაუდენიათ ქუთაისის და სენაკის მაზრებში“, - წერდა 22 სექტემბერს „ცნობის ფურცელი“, მეორე დღეს იგივე ცნობა გაზეთმა “ივერიამ“ დაბეჭდა.

დავით აღმაშენებლის ისტორიული ბეჭდის გატაცებისა და საერთოდ გელათის მონასტრის გაძარცვის ამბავმა, ცხადია, დიდად შეურაცხყო ქართველობა. მაგრამ ამან ჩრდილი ვერ მიაყენა ხალხის დიდ სიყვარულს ყოველივესადმი, რაც აღმაშენებლის სახელთან იყო დაკავშირებული.

და ისევ დიდი ილია ჭავჭავაძე: „საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასოდეს დიდებას ერისა დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და აღიდებს სახელოვან დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკლესიის დალოცვით და კურთხევით, აღმაშენებლის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად. ამ მართლა-და დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა. და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზე ვართ, - ეს იქნება მისი ღვაწლი, იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა!“

ანდრე კარბელაშვილი

იუბილარი

საშობლოს მაღალი ჯილდო – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს

7 იანვარს, ბრწყინვალე დღესასწაულის - შობის დღეს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი გადასცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს. სახელმწიფოს მეთაურმა გულთბილად მიულოცა ქართველი მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარს, მის საჭეთმპყრობელს სამშობლოს მაღალი ჯილდო და უსურვა ხანგრძლივი სიცოცხლე ჩვენი ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გულწრფელი მადლობა მოახსენა საქართველოს პრეზიდენტს სამშობლოს ჯილდოსათვის, დალოცა ქვეყნის მეთაური და ქართველი ერი.

ვინ იწყებოდა...

1933 წლის 4 იანვარს ვლადიკავკაზში, გიორგი სიმონის ძე ღუდუშაური-შიოლაშვილისა და ნატალია იოსების ასულ კობაიძის კეთილმორწმუნე ოჯახში დაიბადა ილია II (ერისკაცობაში ირაკლი) ღუდუშაური-შიოლაშვილი.

ღუდუშაურთა გვარი ძველი დროიდან მოდის. ვახტანგ გორგასლის დროს ბრძოლაში თავი გამოუჩენია ვინმე სნოს. მეფეს მისი ვაჟი მოუნათლავს და ღუდუშაური დაურქმევია, ბავშვის სახელზე კი ციხე აუშენებია.

ღუდუშაურები ხევში ცხოვრობდნენ და სახელოვანი ვაჟკაცები იყვნენ. სიმამაცით გამორჩეული ყოფილა შიოლა ღუდუშაური. სწორედ მისი შთამომავალია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

ძაუგის (ვლადიკავკაზის) ქართული ეკლესია იმ დროს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდა. ქრისტეშობის დღეს სწორედ ამ ქართულ ეკლესიაში მონათლეს სამი დღის ახალშობილი და ყრმას, მეფე ერეკლეს პატივსაცემად, ირაკლი დაარქვეს. საქართველოს მომავალი პატრიარქი კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის ყოფილმა მდივანმა, არქიმანდრიტმა ტარასიმ (კანდელაკი) და მონაზონმა ზოილემ (დვალიშვილი) მონათლეს.

1952 წელს ირაკლი შიოლაშვილი-ღუდუშაურმა დაამთავრა ვლადიკავკაზის 22-ე საშუალო სკოლა და სწავლა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში განაგრძო. სასულიერო სემინარია მან პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა და, როგორც საუკეთესო სტუდენტი, სასულიერო აკადემიის პირველ კურსზე ჩაირიცხა.

24 წლის ასაკში 1957 წლის 16 აპრილს, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III ლოცვა-კურთხევით, თბილისის **ალექსანდრე ნეველის ტაძარში** სასულიერო აკადემიის II კურსის წარჩინებული სტუდენტი ბერად აღკვეცეს. ბერად აღკვეცის საიდუმლო შეასრულა ეპისკოპოსმა ზინობიმ (მაჟუგა) და ბერს სახელად ილია უწოდა.

იმავე 1957 წლის 18 აპრილს სიონის საპატრიარქო ტაძარში ბერი ილია ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად, ხოლო 1959 წლის 10 მაისს წმიდა სერგის მონასტრის ლავრაში იეროდიაკონი ილია მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდეს ალექსი I მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდელ-მონაზენად.

ჯერ კიდევ აკადემიაში სწავლის დროს, მეოთხე კურსზე, მღვდელმონაზონმა ილიამ დაწერა საკანდიდატო შრომა: "ათონის ივერიის მონასტრის ისტორია", - რისთვისაც მიენიჭა ღვთისმეტყველების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამავე 1960 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია პირველი ხარისხის დიპლომით, რის შემდეგაც აკადემიის საბჭომ, როგორც საუკეთესოთა შორის საუკეთესოს, საპროფესორო სტიპენდიანტად დარჩენა შესთავაზა. მას საშუალება ეძლეოდა, ლექციები წაეკითხა სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში, მაგრამ უწმიდესისა და უნეტარესის ეფრემ მეორის კურთხევა სხვაგვარი იყო: მღვდელ-მონაზონ ილიას სამშობლოში უნდა დაეწყო მოღვაწეობა. მან უარი თქვა საპატიო კარიერაზე, სამშობლოში დაბრუნდა და ბათუმის საკათედრო ტაძარში მღვდელმსახურად გამწესდა.

1960 წლის 19 დეკემბერს აღყვანილ იქნა იღუმენის, ხოლო 1961 წლის 16 სექტემბერს - არქიმანდრიტის ხარისხში.

1963 წელს, როცა რუსეთში ხუთი სემინარია, მრავალი ტაძარი და მონასტერი დაიხურა, უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II საქართველოში სასულიერო სასწავლებლის გახსნა მოახერხა, რომელსაც, მეტი სიფრთხილისათვის, საღვთისმეტყველო კურსები დაარქვეს. სწორედ ამ "საღვთისმეტყველო კურსების" პირველ დირექტორად დაინიშნა არქიმანდრიტი ილია.

1963 წლის 26 აგვისტოს, კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II მიერ საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართა თანამწირველობით, არქიმანდრიტი ილია ხელდასხმულ იქნა ბათუმ-შემოქმედელ ეპისკოპოსად და დაინიშნა პატრიარქის ქორეპისკოპოსად.

აჭარაში შვიდი წლის მოღვაწეობის შემდეგ, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, 1967 წელს იგი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად გადაიყვანეს. 1969 წელს აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. მიტროპოლიტმა ილიამ სოხუმში 11 წელი დაყო.

ამავდროულად იგი მოღვაწეობდა ქართლი ეკლესიის მღვდელმსახურთა ახალი კადრების მომზადების სფეროში, იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის პირველი რექტორი - 1963 წლიდან 1972 წლამდე.

1972 წელს ჯილდოდ მიიღო მეორე პანაღიის ტარების უფლება, ხოლო 1975 წელს - უფლება სკუფიაზე ჯვრის ტარებისა.

1977 წელს გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V (დევდარიანი). 1977 წლის 9 ნოემბერს, წმიდა სინოდის განჩინებით, პატრიარქის მოსაყდრე გახდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია.

1977 წლის 23 დეკემბერს თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში გამართულმა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის XI ადგილობრივმა კრებამ განიხილა საქართველოს ეკლესიის ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის საკითხი და მიტროპოლიტი ილია ერთხმად იქნა არჩეულ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად და ეწოდა ილია II (ილია I საქართველოს ეკლესიას მართავდა, 390-400 წლებში).

1977 წლის 25 დეკემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქო ტახტზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელისაგან იღებს დასაბამს, ახალი პატრიარქი იქნა აღყვანილი: ღვთის განგებით, მცხეთის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა ახალი კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრება.

ეკლესიას იმ დროს, შეიძლება ითქვას, მრევლი არც ჰყავდა. თვით პატრიარქის წირვა-ლოცვას სულ რაღაც ათი-ოცი კაცი ესრებოდა. და, აი, მოხდა საოცრება: სვეტიცხოვლის დიდებული ტაძარიც და მისი ეზოც ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებითა და ახალგაზრდებით გაივსო. ეკლესიისადმი ასეთი თანადგომა კომუნისტური რეჟიმის პირობებში პირველი იყო. როგორც ჩანს, ხალხმა იგრძნო, რომ საქართველოს ცხოვრებაში რაღაც ახალი, ძალზე მნიშვნელოვანი იწყებოდა.

გავიდა 25 წელი და აი, ის არასრული ჩამონათვალი, რაც ჩვენი პატრიარქის მწყემსმთავრულ მოღვაწეობას უკავშირდება:

1990 წელს უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ხანგრძლივი და დაუღალავი შრომით მსოფლიო საპატრიარქომ მიანიჭა მტკიცების სიგელი, რითაც აღდგა ისტორიული სამართლიანობა და მთელმა მართლმადიდებელმა სამყარომ სცნო საქართველოს უწმიდესი ეკლესიის ავტოკეფალია.

1988 წელს მისი უწმიდესობის თაოსნობით მცხეთის სასულიერო სემინარია გადმოტანილ იქნა თბილისში და დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია. საუკუნეთა შემდეგ კვლავ აღდგა გელათის სასულიერო და მეცნიერებათა აკადემიები. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიხსნა მრავალი სასულიერო სასწავლებელი, გიმნაზიები. სხვადასხვა საერო უნივერსიტეტებში დაარსდა საღვთისმეტყველო კათედრები, სადაც ლექციებს კითხულობენ თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულნი.

უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით თანამედროვე ქართულ ენაზე გამოიცა ბიბლია, საღვთისმეტყველო კრებული, გამოდის საეკლესიო ჟურნალ-გაზეთები, საეკლესიო კალენდრები, საღვთისმეტყველო წიგნები. საპატრიარქოსთან შეიქმნა მისიისა და ევანგელიზაციის, ხალხური რეწვის, საგარეო-ეკონომიკური,საფინანსო-სამეურნეო, სიწმიდეთა მოძიების, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები, პრესცენტრი, ხუროთმოძღვრების, საეკლესიო გალობის აღდგენისა და შემსწავლელი ცენტრი, სასწავლო კომიტეტი. 2001 წლიდან ეთერშია "საპატრიარქოს რადიო ივერია", რომლის მაუწყებლობა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთში. საპატრიარქო რეზიდენციაში პერიოდულად იმართება სამეცნიერო კონფერენციები აქტუალურ თემებზე, სადაც სასულიერო პირები და მეცნიერები ერთობლივად განიხილავენ ჩვენი ქვეყნისთვის საჭირბოროტო, პრობლემატურ საკითხებს.

საპატრიარქოში ფუნქციონირებს ახალგაზრდული ორგანიზაცია „ძლევაი" „ჩამოყალიბდა საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე", რომელიც სოციალურად დაუცველ ფენებს უწევს დახმარებას, დაარსდა მოხუცებულთა თავშესაფარი, მოწყალების სახლი. კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, გაიხსნა ობოლ ბავშვთა სახლები ძეგვში, ბედიანში და ზესტაფონში, სადაც მონასტრები მფარველობენ მზრუნველობას მოკლებულ ყმაწვილებს.

კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საქართველოში გაიხსნა ეკლესიები და მონასტრები, აშენდა ახალი ტაძრები. ცნობისათვის: 25 წლის წინ საქართველოში მხოლოდ 48 მოქმედი ეკლესია იყო, დღეს მათი რიცხვი 800-მდეა. 25 წლის წინ 40-მდე სასულიერო პირი გვყავდა, დღეს 1000-მდეა. საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა რიცხვი 30-მდე გაიზარდა აღსდგა ტაო-კლარჯეთის ისტორიული ეპარქია და დაარსდა ახალი - დასავლეთ ევროპის მიტროპოლია.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უფლის მიერ დაჯილდოებულია ხატმწერის ნიჭით. აღტაცებას იწვევს მისი ფუნჯით დაწერილი სამების, მაცხოვრის, წმინდა გიორგის, სოლომონ ბრძენის ხატები და ძველი საპატრიარქოს რეზიდენციის კედლის მისეული მოხატულობა. ასევე შეუძლებელია არ აღინიშნოს მისი მუსიკალურ-კომპოზიციური შემოქმედება და არქიტექტურული გემოვნება. ილია II შექმნა მელოდიები ცნობილ ტექსტებზე "მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე", "წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო შეგვიწყალენ ჩვენ", რომელთაც დღეს საქართველოს ეკლესიებში გალობენ. ასევე, მას ეკუთვნის მელოდია და ღრმად მორწმუნე ქრისტიანის უკვდავი სიტყვები საგალობლისა "დავიღალე, დავიღალე, მოდი ჩემთან უფალო!"

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დაჯილდოებულია მსოფლიოს საპატრიარქოს, იერუსალიმის, ალექსანდრიის, რუსეთის, ბულგარეთის, სერბეთის და თითქმის ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი. ნიუ-იორკის სასულიერო აკადემიამ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება მიანიჭა. ასეთივე ხარისხი მიანიჭა 1997 წელს მას კრეტის მეცნიერებათა აკადემიამ. იგი არჩეულია მოსკოვის ინფორმატიზაციის აკადემიის წევრად, 2002 წელს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტმა და თბილისის სულხან-საბას სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორის წოდება მიანიჭეს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მოღვაწეობას უკავშირდება. 2002 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დაიდო საკონსტიტუციო შეთანხმება, რითაც აღდგა ისტორიული სამართლიანობა და განისაზღვრა ეკლესიის ადგილი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით თბილისში აშენდა წმიდა სამების საკათედრო ტაძარი.

"ქართული დროშის" რედაქცია უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს ილია მეორეს ულოცავს აღსაყდრებიდან 25-სა და დაბადებიდან 70 წლისთავს.

საქართველოს სულიერ მამას ვუსურვებთ ჯანმრთელობას და სიმხნევეს ჩვენი ერისა და ქვეყნის, ოცსაუკუნოვანი ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის საკეთილდღეოდ.

დასავლეთ ევროპის ეპარქიის პრეზენტაცია

როგორც ცნობილია, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით დაფუძნდა დასავლეთ ევროპის ეპარქია, რომელიც მოწოდებულია სულიერი მზრუნველობა და მფარველობა გაუწიოს უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს.

20 იანვარს საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა დასავლეთ ევროპის ეპარქიის პრეზენტაცია. მოწვეულ სტუმრებს კათოლიკოს-პატრიარქმა გააცნო ახალი ეპარქიის ჩამოყალიბების მიზანი და წარადგინა ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ყოფილი რექტორი - მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია).

ახალი ეპარქიის დაარსების თაობაზე საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა. ისაუბრეს ეპარქიის ცენტრში ქართული ეკლესიის მშენებლობის აუცილებლობის შესახებ, რომელსაც დიდი სულიერი და პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება. ამ ტაძრის მშენებლობას საკმაოდ დიდი მატერიალური ბაზა ესაჭიროება. გაცნობებთ დასავლეთ ევროპის ეპარქიის საბანკო რეკვიზიტებს:

ორგანიზაციის დასახელება - დასავლეთ ევროპის ეპარქია.

ანგარიშის ნომერი ეროვნულ ვალუტაში -24783608 სს "გაერთიანებული ქართული ბანკი"-ს მთაწმინდის ფილიალში.

ბანკის კოდი 220101666.

ანგარიშის ნომერი ამერიკულ დოლარებში 19843618 სს „გაერთიანებული ქართული ბანკი"-ს მთაწმინდის ფილიალში.

ანგარიშის ნომერი ევროში 19843618 სს „გაერთიანებული ქართული ბანკი"-ს მთაწმინდის ფილიალში.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ქადაგება ინტრონიზაციის დღესასწაულზე სამების საკათედრო ტაძარი, 25 დეკემბერი

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო,
ჩვენო ძვირფასო სტუმრებო,
თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ,
რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელო, მიტროპოლიტო პიტირიმე,
საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წევრნო,
ღირსნო მამანო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო,
ქრისტეს მიერ ჩვენო სულიერო შვილებო!

მადლი და წყალობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და სიყვარული ღვთისა და მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა!

განგებამ ღვთისამან ინება 25 წლის წინ ჩემი აღსვლა საპატრიარქო ტახტზე, აღსვლა იმ დროს, როცა ძალიან უჭირდა საქართველოს ეკლესიას. და აი, განვლო მეტად რთულმა, უმძიმესმა წლებმა და ჩვენ დავინახეთ, რომ უფალი მუდამ ჩვენთან იყო და უფალი ქმნიდა, უფალი ნერგავდა, უფალი თესავდა და ჩვენ მხოლოდ აღმსრულებელნი ვიყავით იმ დიდი განგებისა, რომელიც ზეციერმა ძალამ მოგვიელინა. მე შემიძლია ვთქვა, რომ მართლაც ჩვენ შორის და ჩვენში უფალი მეფობდა, ჩვენ მხოლოდ ძალიან სუსტი აღმსრულებელნი ვიყავით მისი განგებისა და მისი ნებისა. მინდა ასევე ვთქვა, რომ იმ მეტად რთულ 1977 წელს, თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, საქართველოს მეთაური ბრძანდებოდით და ძალიან ბევრი რამ პირადად თქვენზე იყო დამოკიდებული. მე მახსენდება ის პერიოდი, როცა შეზღუდული იყო ეკლესია, მაგრამ თქვენ გრძნობდით, თქვენ იცოდით ჩვენი ეკლესიის მნიშვნელობა ჩვენი ერისათვის და თქვენ არაოფიციალურად ეხმარებოდით მას, ეხმარებოდით, თუნდაც მცხეთის მონასტერს, ეკლესიას და სხვა მონასტრებს. და აი, მაშინ უკვე ჩანდა თქვენი რწმენა, თქვენი სულისკვეთება და ჩვენ მადლობელი ვართ იმ თანადგომისათვის, რომელიც მაშინ გამოიჩინეთ. თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩემი არჩევა ბევრად იყო დამოკიდებული ხელისუფლებაზე და უფალმა ინება და შესდგა ჩემი კურთხევა დიდ სვეტიცხოველში. დღეს ჩვენ ვხედავთ განახლებულ, დამოუკიდებელ საქართველოს, მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიას. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ის თავისუფლება, რომელიც უფალმა ჯერ კიდევ V საუკუნეში გვიბოძა ღვაწლითა და შრომით წმიდისა დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა, რომ ეს დამოუკიდებლობა შეეინარჩუნოთ, გავაძლიეროთ იმიტომ, რომ ეკლესია და ჩვენი სარწმუნოება არის ერთადერთი ძალა, რომელიც გაამთლიანებს, შეკრავს, შეადუღაბებს ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ერს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საქართველოს ეკლესია მაქსიმალურად შეეწიოს ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას, დემოკრატიულ განვითარებას. ჩვენ მადლობელი ვართ ყველაფრისათვის, რასაც თქვენ აკეთებთ ჩვენი ერისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, და არა მარტო ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ საერთაშორისო მშვიდობისათვის. თქვენ ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ საქართველო იყოს ქვეყანა, რომელსაც ეხმარებიან სხვა ქვეყნები - განვითარებული და ძლიერი ქვეყნები. თქვენ ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ საქართველოს ჰქონდეს თავისი საერთაშორისო მნიშვნელობა და როლი, რომ საქართველო ეხმარებოდეს იმ პროგრესულ ძალებს, რომლებიც არსებობენ დღეს მსოფლიოში. ეს არის პირადად თქვენი დამსახურება და ჩვენ მადლობელი ვართ ამისათვის.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ და გაგახაროთ. ღმერთმა დალოცოს, გააძლიეროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო.

არჩილ სულაკაური

ლიდთოვლობს

გარეთ თოვს...

ფანჯრიდან ვხედავ, როგორ თოვს გარეთ და თეთრად როგორ იბარდნება სახურავები, ხეები, ქუჩა და ხალხი. ახლახანს დაიწყო ბარდნა. დაიწყო უცებ, მოულოდნელად, ქუჩას თითქოს ჰაერი აღარ ჰყოფნის. ჰაერში პეპლის ფრთისოდენა ფოთლები დაუსრულებლად ირევა და ეფინება ყველაფერს, რაც კი გარეთაა.

- თოვს, - მესმის მეორე ოთახიდან ცოლის ხმა, - გაიხედე.

ცოლს ხმაზე ვატყობ, თოვლის მოსვლა უხარია და ვეუბნები:

- ვხედავ.

- ასეთი თოვლი დიდი ხანია არ მინახავს.

არც მე მინახავს დიდი ხანია...

ბურუსიანი დიდ-დიდი ფიფქები ფანჯრის მინას ეკრობა და მაშინვე დნება. მინა გარედან სველია და გამდნარი თოვლის წვეთებით დასერილი.

ფილაქანზე მოკიდებულ თოვლს გამვლელები თანდათან ტკეპნიან. მე არ მესმის, მაგრამ ვგრძნობ, როგორ ხრაჭუნებს გამვლელთა ფეხქვეშ ახალი თოვლი.

ეზოდან თბილადშეფუთნული, ლოყებდაწითლებული ბავშვები გამორბიან, თან ციგები გამოაქვთ და თოვლის ცვენასა და ბარდნაში უჩინარდებიან.

- დაინახე ბავშვები? - მეკითხება ცოლი.

- დავინახე.

ოთახში თბილა. ფანჯარასთან ვზივარ, საწერ მაგიდას იდაყვით ვეყრდნობი. ღუმელი ყრუდ, დაგუბებული ხმით ბუბუნებს და სითბოს აფრქვევს. კარგია, ოთახში რომ თბილა, ხოლო გარეთ თოვლი მოდის. მგონია, სითბოს ახლა უფრო მეტი ფასი აქვს-მეთქი.

- თოვს...

ქუჩა თანდათან ნახატს ემსგავსება და ფიფქების კორიანტელი იდუმალებით მოსავს... ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება.

მხარზე ჯერ ხელის შეხებას ვგრძნობ, მერე - თბილი სხეულისას.

- ჩვენი ბავშვებიც ასე ირბენენ თოვლში, - მეუბნება ცოლი:

- რა თქმა უნდა, - ვეუბნები მე, - რა თქმა უნდა, ასევე ირბენენ.

ჩემს თმაში იხლართება ცოლის თითები. ვგრძნობ, რაღაც უნდა მითხრას, ვიცი, იღიმება და ნახევრად მოჭუტული თვალებით ჩასცქერის დათოვლილ ქუჩას.

- უცნაურია, - მეუბნება ცოლი, ჩვენი პირველი შეხვედრა გამახსენდა. ასე არ თოვდა, მაგრამ კარგი ზამთარი იყო შარშან... კარგი ზამთარი...

- იმეორებს განსაკუთრებული კილოთი, – ბესიკის ქუჩით მივდიოდი თავქვე. ფეხი მიცურდებოდა და მეშინოდა, არ დავცემულიყავი. ქვევით ბიჭები შევნიშნე - ქუჩის კუთხეში გროვად იდგნენ, გოგონებს გუნდებს ესროდნენ,სწორედ ისე, როგორც ესენი.

მართლაც ჩვენი ქუჩის კუთხეში თოვლში ამოგანგლული ბიჭები ტრიალებდნენ და ჟრიამულით იკლებდნენ იქაურობას, სწრაფად აკეთებდნენ გუნდებს და ქუჩის გაღმოღმა ისროდნენ. მე ვერ ვხედავდი, ვის ესროდნენ, მაგრამ ხანდახან წამოკივლება მესმოდა და ვიცოდი, ჩემი ფანჯრის ქვემოთ შეშინებული და, ამავე დროს, მაინც კმაყოფილი ქალიშვილები სხეულის სხარტი მოძრაობით იცილებდნენ გუნდებს და კივილით გარბოდნენ.

- მე იმდენად გუნდის მოხვედრის არ მეშინოდა, რამდენადაც დავარდნისა, - მეუბნება ცოლი, - მეშინოდა, გუნდების სროლისას არ გამსრიალებოდა ფეხი და არ წავქცეულიყავი... ამ დროს შენ ჩამოიარე და გთხოვე, ჩაგეცილებინე. სირცხვილი დავძლიე და სრულიად უცნობ ადამიანს ჩემი შიში გაგიმხილე... შენ ისეთი თავაზიანი იყავი...ისეთი კეთილი...

მე ვუსმენ ცოლს და ქუჩაშიც ვიხედები. გარეთ ისევ ბარდნის. კრამიტის დაბალი სახურავი სულ მთლად დათოვლილია, შეჭვარტლულ საკვამურიდან ბოლქვებად ამოდის რუხი ბოლი, ზევით მიირხევა, იშლება და ფიფქებში ქრება.

- მერე შენ ჩამაცილე რუსთაველის პროსპექტამდე, - იხსენებს ცოლი, – და იქ თავაზიანად დავშორდით ერთმანეთს... რას ვიფიქრებდი, ან როგორ უნდა მეფიქრა, თუ...

კარგად არ მახსოვს, როდის იყო, ორი თუ სამი წლის წინათ.. შესაძლოა, ოთხი წელიც გავიდა მას შემდეგ... ბაკურიანის პარკში, გორაკზე ნაცნობი ბიჭები და გოგოები შემხვდნენ, ჩემსავით სტუდენტები იყვნენ, ყველას სალმით ვიცნობდი. თხილამურებით ლიკანში წასვლა გადაეწყვიტათ. მეც შევუერთდი და გორაკიდან დავეშვით. ვჩქარობდით. ლიკანში როგორმე მატარებლისთვის უნდა მიგვესწრო,რომ იმავე საღამოს უკან დავბრუნებულიყავით. არც ერთმა არ ვიცოდით ხეირიანად თხილამურზე დგომა, მაგრამ დავადექით უკვე გაკვალულ სათხილამურო ბილიკს, რომელიც ლიანდაგივით მიჰყვებოდა ხელუხლებელ თოვლს. ბილიკი თავისთავად მიგვასრიალებდა, დიდი სიმარჯვე და ოსტატობა არ გვჭირდებოდა. ერთ რიგად გაბაწრულები მივსრიალებდით თოვლით დაბურულ ფიჭვის ტყეში. ცა მოწმენდილი იყო და მზე გვაცხუნებდა. ქათქათა თოვლი მზეზე ბრწყინავდა და თვალებს გვტკენდა. ჩვენკენ გამორბოდნენ თოვლით დამძიმებული ფიჭვები და საღღაც უკან რჩებოდნენ.

ხანდახან ვზერდებოდით და ტყის ღუმილს მივაყურებდით. შორიახლოს კოდალა უკაკუნებდა ხეს და ამ თოვლიან დიდ მყუდროებას ბზარავდა. თოვლით ვისრესდით და ვიგრილებდით გახურებულ სახეს, მერმე თვალებს ვხუჭავდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მზისკენ ვაბრუნებდით პირს გასათბობად. მერე ისევ მივსრიალებდით ხეებსა და დაღელარჭნილ ტოტებს შორის...

ტყის იქით მზე ჩადიოდა. თოვლზე იისფერი ჩრდილები მოსრიალებდა. ჩრდილები თანდათან იზრდებოდა, უსაშველოდ გრძელდებოდა და ერთმანეთს ეხლართებოდა.

უცებ მატარებლის კივილი მოგვესმა. მატარებელმა სულ ახლოს იკივლა. უნებურად ყველანი შეთანხმებულებივით შევჩერდით, ერთმანეთს გადავხედეთ და სმენად დავიძაბეთ, ახლა კივილი უფრო ახლოდან ისმოდა. ზოგმა ისიც კი თქვა: ბორბლების ხმაური გავიგონეთ, მე ბორბლების ხმაური არ გამიგონია და ამიტომ გაჩუმებული ვიდექი. პირველად მოვდიოდი ასეთ შორ მანძილზე თხილამურებით და უეცარმა შიშმა შემიპყრო. მატარებელს რომ გაესწრო, ღმერთმა იცის, სად მოგვიწევდა ღამის გათევა.

ლიკანში წასვლაზე ფიქრიც კი ზედმეტად ჩავთვალე. საკოჭავისკენ გავუხვიე. იქნებ იქ მაინც მიგვესწრო მატარებლისთვის.

სულ ექვსი ვიყავით. მე მეხუთე მივსრიალებდი, ფეხდაფეხ მივდევდი ჩემს წინარეთ. მატარებლის ყოველი წამოკივლება გულს მიხეთქავდა. კივილი ხან შორიდან ისმოდა, ხან - ახლოდან. ხან - ბაკურიანის მხრიდან, ხან - ლიკანისა. შემკრთალი და დაბნეული მივქროდი.

მწუხრის ბინდი მოგვდევდა უკან. თანდათან გვეწეოდა. ისიც ჩვენსავით მოსრიალებდა ტყეში. ხეებს შორის სივრცეს იპყრობდა საღამოს გამჭვირვალე ბინდი, რომელიც ჩვენსკენ შეუბრალებლად მოდიოდა, მოდიოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ჩვენ მივქროდით.

უკნიდან ძახილი გავიგონე. მივიხედე და შევჩერდი, მეექვსე წაქცეულიყო და ხელს მიქნევდა. მე აღარ მახსოვდა, ვინ იყო მეექვსე. ბინდბუნდში ვხედავდი,შავ, მოძრავ ლაქას, რომელიც წამოდგომას ლამობდა. ხმაზე მივხვდი, ერთიერთი ქალიშვილთაგანი იყო, თუმცა რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას. ვალდებული ვიყავი მივშველებოდი.

როგორც იყო, მივგრიალდი, თხილამურები აჩხა-ბაჩხად გამექცა, კინაღამ წავიქეცი. მერე კვალში ჩავდექი და სწრაფად მივსრიალდი. წაქცეული ლელა აღმოჩნდა, უნივერსიტეტელი ქალიშვილი,რომელსაც შორიდან ვიცნობდი. იგი მუდამ კეთილად მესალმებოდა და მეც ვცდილობდი მასთან დაახლოებას, თუმცა ვერ მივმხვდარიყავი, მაინც რით მხიბლავდა ეს შავგვრემანი, კაფანდარა ქალიშვილი.

- მე მეგონა, წინ იყავი, აქ როგორ გაჩნდი? - გავოცდი.

ლელა უხერხულად ეგდო თოვლზე. თხილამურიანი ფეხები ერთმანეთში გადახლართვოდა. ცდილობდა, ხელით დაყრდნობოდა თოვლს და წამომდგარიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა, - მკლავი მთლიანად ეფლობოდა თოვლში.

ლელა იღიმებოდა, თუმცა შევატყვე, ღიმილი სიმწრისა იყო. გაჭირვებით წამოვაყენე, სათხილამურო კოსტუმს ხელთათმანებით მოვაშორე მიკრული თოვლი. ქალიშვილი ბილიკზე დავაყენე და ჩემს წინ გავუშვი. დაიძრა თუ არა, მაშინვე ჩაიმუხლა, კოჭზე იტაცა ხელი და სახე ტკივილისაგან დაემანჭა.

ფეხსაცმელი თხილამურისათვის არ მომიშორებია,ის გავხადე. წინდაც გავაძრე. ფეხი ჯერ გავუზიდე, მერმე დავუზილე, საწყალი გოგო ტკივილისაგან ყვიროდა, ფეხის წართმევას ცდილობდა. ისევ ჩავაცვი წინდა, ჩავდგმევინე ფეხი ფეხსაცმელში და თასმები შევუკარი...

ფრთხილად დავეშვით ქვევით, ასე ვიარეთ ერთხანს უხმოდ. ჯერ მეგონა, წინ წასულებს დავეწეოდით, მაგრამ როდესაც მივედით გზაჯვარედინზე, სადაც თხილამურების მრავალი კვალი ერთმანეთს სერავდა და ერთმანეთში ირეოდა, დავიბენი და შეშფოთებული მივაჩერდი ლელას. არ ვიცოდი, საით უნდა წავსულიყავი. ლელა მშვიდად იდგა და ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა იქაურობას. ჩემზე იყო მონდობილი, ალბათ ეგონა, ეს გზები თბილისის ქუჩებივით ვიცოდი...

მერმე ჩვენ ერთმანეთს ვხვდებოდით ქუჩებში, - მაწყვეტინებს ფიქრს ცოლი, - შემთხვევით ვხვდებოდით და ვესალმებოდით.

შემდეგ მიამბობს, თუ როგორ გავაჩერე ერთხელ ქუჩაში და როგორ გამოველაპარაკე. მე მესმის ცოლის რბილი, ოდნავ ნაღვლიანი ხმა. თავად სულაც არ არის ნაღვლიანი, მაგრამ ხმა აქვს ასეთი და მე ძალიან მიყვარს მისი საუბრის მოსმენა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რამეს იხსენებს... მაგრამ ახლა გარეთ თოვს და მე ფანჯრიდან გავცქერი დიდთოვლობას. ისევ ბაკურიანი მაგონდება. ის გზაჯვარედინი, სადაც მე და ლელა ვიდექით. ახლა ვერ ვიხსენებ, საით დავეშვით, ის კი მახსოვს, მალე მატარებლის ვიწრო ღიანდაგთან აღმოვჩნდით. ლელა იქაც დაეცა და მითხრა, ფეხი ძალიან მტკივა და სიარულიც გამიჭირდებაო. მე მივიხედ-მოვიხედე, ჩემი ამხანაგები აღარსად ჩანდნენ, როგორც ეტყობოდა, სხვა გზით წასულიყვნენ.

ორთქლმავლის კივილი ქვევიდან მოგვესმა.

- მგონი, მოვასწროთ , - ვუთხარი ლელას, - სადგური ახლოს უნდა იყოს.

მოვიხსენი თხილამურები და ლელასაც მოვხსენი. ორი წყვილი თხილამური მხარზე გავიდე და ღიანდაგს ქვევით გავყევი. ლელა კოჭლობით მომდევდა, უკვე ბნელოდა და ლელასაც ვაჩქარებდი, მინდოდა მატარებლისთვის სადგურში მიმესწრო.

ლელა მეხვეწებოდა, ნელა იარეო. მე, იმის შიშით, რომ ღამე გარეთ არ დავრჩენილიყავით, თითქმის გავრბოდი. მხარზე გადადებული თხილამურების ლითონის სამაგრები ხანდახან სახეზე მომედებოდა და ისე ამიწვავდა, თითქოს ცხელი შანთით მდაღავდნენ.

- მოიცადე, - მეძახდა უკან დარჩენილი ლელა. - აღარ შემიძლია.

ჩემი აზრით მოცდა აღარ შეიძლებოდა. გაბრაზებული ვუყვიროდი და ისიც მორჩილად მომყვებოდა კოჭლობით..

ცოტა ხნის შემდეგ ისევ მესმოდა:

- შევისვენოთ, სული მოვითქვათ.

- სულ ცოტაღა დაგრჩა. არ გესმის მატარებლის ქშენა?

- რანაირი ყოფილხარ!

- ხომ ხედავ, როგორიცა ვარ, გამოადგი ფეხი!

- შენ წადი, თუ გინდა, მე აღარ მოვდივარ.

- აქ აპირებ დარჩენას?

- ჰო, აქ ვაპირებ.

- გამოადგი ფეხი!

- არ წამოვალ, არ წამოვალ!.. აქ დავჯდები ლიანდაგზე და არ წამოვალ!.. გაიგე, არ შემიძლია!.

ლელა მაინც მომყვებოდა. ეცემოდა, დგებოდა, ისევ მომდევდა. მე წინ მივიწევდი ღამეში. ლიანდაგები ელავდნენ და ამ ცივ ელვას მივყვებოდი ბრმად: ხანდახან ვყოყმანობდი და უკან დარჩენილ ლელას ველოდებოდი, ხან ვუყვიროდი, ხან ვამხნევებდი, მე ჩემი თავი ნებისყოფიან კაცად მიმაჩნდა და მინდოდა, ამ იარაღით მემოქმედა უკან კოჭლობით მომავალ, მოწუწუნე ადამიანზე.

ლელა ატირდა, ამოჯანყდა, მის ტირილზე გული მომივიდა, ნერვები დამეწეწა. ისევ ვუყვირე, კი არ ვუყვირე, ვუბრძანე, ტირილი შეეწყვიტა. ლელა გაჩუმდა, ტირილი შეწყვიტა...

მოდიოდა, ეცემოდა, დგებოდა და ისევ მოდიოდა...

ცოლი რაღაცას მეუბნება.ვერ გავიგე, ვთხოვე, გამიმეოროს და ისიც მიმეორებს:

- ასე მგონია, სხვისთვის თოვს.

გაოცებული ავხედავ ცოლს.

- უცნაურია, არა? - მეუბნება.

ვიღიმები და თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ:

- ჰო... რამე დასალევი მომიტანე...

ცოლი ღვინოს მისხამს ჭიქაში და მოაქვს.

- შენ არ გინდა?

- არა.

- სულ ცოტა, ერთი ყლუპი...

- არა. არ შეიძლება.

- მართლა, შენთვის არ შეიძლება.

მე ნელ-ნელა ვწრუპავ ქარვისფერ, სურნელოვან სითხეს და სიგარეტს ვაბოლებ.

... ბოლოს გამოჩნდა სადგური და მე შვებით ამოვისუნთქე, სიხარულის ყიჟინა აღმომხდა:

- აგერ, სადგური!

მატარებელი ბაქანს მისდგომოდა, ორთქლმავალი ქშინავდა და მილიდან ბოლთან ერთად ნაპერწკლებს ისროდა.

უხმოდ შევვარდი სადგურის შენობაში. იქ თბილოდა, ღუმელი ყრუდ ბუბუნებდა. გახურებული და გაოფლილი ვიყავი, მაგრამ ის სითბო მაინც მეამა და სიამოვნებისაგან შევიშმუშნე. ბაკურიანამდე ორი ბილეთი ვიყიდე და ერთ წამში გავჩნდი ვაგონის კიბესთან, სადაც დაღლილი და გაწამებული ლელა მელოდებოდა.

ერთ-ერთ ვაგონში ჩვენს ამხანაგებს მივაგენით და იქვე კუპეში მოვთავსდით. მე ვუსაყვედურე ბიჭებს შუა გზაზე ჩვენი მიტოვება, მათ გაიღიმეს და არაფერი მიპასუხეს. მაშინ ვერ მიხვდი, რატომ იღიმებოდნენ საეჭვოდ და ალმაცერად რატომ უმზერდნენ თოვლით გაგანგლულ ლელას. მეორე ქალიშვილი, რომლის სახელი ახლა აღარ მაგონდება, გაბუტულივით იჯდა განზე და ლელასკენ არც იხედებოდა. მე გახარებული ვიყავი, რომ მოვასწარით მატარებელში ჩასხდომა და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

პატარა ვაგონი მოთხილამურეებით იყო გაჭედილი. გაუთავებელი ლაპარაკი ისმოდა. ყველა ცდილობდა სხვისთვის დაესწრო შთაბეჭდილებების გაზიარება, ვაგონის ბოლოში ვიღაც ბიჭები მღეროდნენ.

მატარებელმა ერთი შეჰკივლა და ბაკურიანისკენ ქშენითა და ქოთქოთით შეუდგა აღმართს. მე ლელასკენ გადავიხარე და ხმადაბლა, თითქმის ნიშნისმოგებით ვუთხარი:

- ასე არ სჯობდა?!

ლელა ღუმდა და ფანჯარაში იხედებოდა, უკან რჩებოდა მკრთალად განათებული, თოვლით გადაგლესილი ბაქანი, სადგურის პატარა შენობა, რომლის საკვამური ბოლავდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ფონზე.

ლელას შალის სვიტრსა და შარვალზე თოვლი შეადნა და გარკვევით ემჩნეოდა სველი ლაქები. ეტყობა შესცივდა. კუთხეში მიიყუჟა და თვალები დახუჭა. წამწამების ჩრდილი დაღლილსა და გაფითრებულ სახეზე ეცემოდა. სინათლე აწეწილ თმაში ალაგ-ალაგ გამდნარ თოვლის წინწკლებს აციმციმებდა.

მატარებელი კივილით მიჰყვებოდა აღმართს, გზადაგზა სვლა უჭირდა, იმდენად უჭირდა, ჩერდებოდა კიდეც, თითქოს სულს იბრუნებსო. მერე ისევ მოიკრეფდა ღონეს, თოვლიან ტყეებს შეჰკივლებდა, ერთს ლაბათიანად შეგვანჯღრევდა და ბორბლის გრუხუნით დაიძრებოდა.

„ასე არა სჯობდა?!“ - ვიმეორებდი დაუფიქრებლად, თითქოს ჩემთვის ვღიღინებდი ნაცნობ სიმღერას, მაგრამ უცებ გავიფიქრე: “რატომ სჯობდა ასე?“ რა მოხდებოდა, არ ავჩქარებულიყავი და მატარებელს ჩვენთვის გაესწრო?! არ ავჩქარებულიყავი, მხარში შევდგომოდი ლელას და ფრთხილად წამომეყვანა, რომ ნაღრძობი ფეხი არ გაღიზიანებოდა. ასე მოვიდოდით სადგურში... ბოლოს და ბოლოს სადგურში გავათევდით ღამეს, იქ ხომ ღუმელი ენთო და თბილოდა...

ვგრძნობდი ლელას ფეხი სტკიოდა და ითმენდა. იმასაც ვგრძნობდი, თვალები რომ გაეხილა, ცრემლებს ვეღარ შეიკავებდა და ატირდებოდა, ამიტომ მოიმძინარა თავი. ძილი ნიღაბივით ააფარა მწვავე ტკივილებს.

ვაგონში ვეღარ გავძელი და ბაქანზე გავედი. ბაქანზე ყინავდა და ვინანე, რომ გამოვედი. უკან შებრუნება მინდოდა, მაგრამ ლელასი მრცხვენოდა... მაინც რატომ მეშინოდა, მატარებელს არ გაესწრო... რა ლაჩრულად გავურბოდი ღამეს.

მატარებელი მიჰკიოდა ბაკურიანის დათოვლილ ტყეებს, ბაქანზე ვიდექი და გავცქეროდი ღამის სიბნელეს. უცებ მომეჩვენა, მატარებელს ვიღაც აედევნა. მე თითქოს მოძრავ ლანდს ვხედავდი და ლანდი კოჭლობით მორბოდა.

ვაგონში ისევ მღეროდნენ ბიჭები. სიმღერა ახლა უფრო მკაფიოდ ისმოდა, რადგან მოთხილამურეებს უკვე დაეცხროთ ლაპარაკის ჟინი და დაღლილები თვლემად მილაგებულიყვნენ.

- შენ თავაზიანიც იყავი და უშიშარიც. შენ არ შეგეშინდა იმ ბიჭების, გუნდებს რომ ისროდნენ... - მესმის მეორე ოთახიდან ცოლის ხმა.

ოთახში თბილა, ღუმელში ცეცხლი ანთია. სარკმელს მიმდგარი გარეთ ისე ვიხედები, როგორც თევზი აქვარიუმიდან. გავცქერი დიდთოვლობას და ჩემთვის ვამბობ: აჰა, მოვიდა დიდიზამთარი!!

ჩემი ცოლი ოჯახში ტრიალებს და ძალიან უხარია თოვლის მოსვლა, რადგან თოვლი ჩემთან შეხვედრას აგონებს... ცოლს ზედმიწევნით ახსოვს ყველაფერი...

გარეთ თოვს...



გიგი სულაჯაური

გოგონა

ყოველი გამახჯვების შემდეგ
იმღერე, გოგონავ...
ახ დაგავინყდეს -
გამახჯვებაც ბედთან შეხიგებაა.
მოდი,
იმასაც შეუხიგდი,
ხომ გამახჯვებამ
შეიძლება ბევხი ვეხცხლი მოგიტანოს...
ოღონდ
(ბედთან შეხიგების) ბანალური თაიგული
ყვავილებისა
სულ ადვილად (ეხთი უბხალო მოძხაობით)
შეიძლება აასფეთქო
(ისევე,
ხოგორც ფეხადი მინის გხძელფეხება ჭიქები).
ისიც იცოდე -
ეჭვი, ნაღველი და იხონია -
ეს სამი ძაღლი
ძაღზე ახლოდან ისუსნებიან.
(ახ იფიქხო,
ქუჩის "ფახჩაჯი" ძაღლებივით უყეფდნენ
მთვახეს),
მათი მოცულობა და პერსპექტივა
იქიდან შენსკენ გაიზხდება
(აუცილებლად).
ეს ახ ახის გაჯვეთილი,
პახაგხაფი,
ანდა ხამე სხვა,
ეს ახის -
შენთვის უცნობი ნაპიხები,
შენთვის
ჩემი აღმოჩენილი.

ჯაფე "თბილისი"

ნაცნობი ჯაფე. უცნობი ჯეფა.
ოთხჯუთხა ანფასი. ბოლო ნაფაზი.
შემწვახი ჯახტოფილი. დახხილი ჰხოფილი.
უჯაცო ქაღები. თითქმის ჩამქხაღები.
უქაღო ჯაცები. მღვხიე, ზახმაცები
ხმელი უცხოელი. ხაღაცას მოელის.
ღვინო და ყავა. "დაღიე, ნავა"...
ოხმაგი ფახდები. "აქ გადავახდები"...
მწვანე ჯედღები. "შენ მე ხას მედხები"...
ჩემი დიალოგი: "შენ მიდი, ალოჯე"...
ძილი და ღვიძილი. მტჯივანი ღვიძლი.
შავი ხოიალი. ბახბაცი, ბოხიალი.
გვეხდითაც მთვხაღები. შუშის თვაღებით.
გახსონი ღევონი. ქამელევონი.
სახემოცინახი: ცხოვხება წინ ახი.

ჩანახატი

მთვახე ანათებს
სამ ბებეხ ხეს,
მთების სიშოხეს,
ჩხდილები ნვანან
უცნაუხად ანთებული წყალზე...
ზეპიხად ყეფენ
სოფლის ძაღლები...
და მოძხავ მთვახეს
ახხით მიჰყავს სველი ხეები,
სოფლის შუქები,
ძაღლების ყეფა,
ხომელთაც სნხაფად მიაქანებს
და სხვაგან ჯახგავს...

ვის ვაგონდებით

ვინ გვიყვარებს,
ვინ გვაპატიებს,
ვინ გვაჯვირდება,
ვის ვახსოვართ,
ვის ვუყვარვართ,
ვის წინაშე დგას
ეს ცხოვრება -
აჯვარიუმი..
მწყემსო,
ამდენ ჯაცს ჩაუვლია
შენი ბინის წინ...

ვიდრე

ია აკივლებთ ამ დედაჯაცებს?
ჩემი ეგზოტიკური გამომეტყველება?
მე ხომ იმისთვის არ ვქანაობ
ნელ-ნელა თოკზე
(თვალებდაჭყეტილი და
აღბათ
ენაგადმოგდებული)
ვინმე მოვხიბლო.
უბრალოდ ვიცი
ყველანაირი სიმშვიდის ფასი.
თოხემ აბა გადაჭრან თოკი,
სანამ მინას დაენარცხები,
მოიხბენს ვინმე მადლიანი,
ყურში ჩაგყვირებს:
"ნუ დამზარდები,
ერთი, სიგარეტს მომიკიდეო..."
მაგრამ ბევრჯერ დაათოვს წყალს და ნაპირებს
და გაუქმებული ხეებს
და ყველანაირ სიმშვიდეს
და გაუქმებული ხეების იქით
დაათოვს ცასაც...

შემოდგომა

დაძენძილი, სწრაფი ღრუბლები
მინდორს ტოვებენ -
ქარი მთისკენ მიერეკება...
და ნელ-ნელა იშლებიან
და წყნარდებიან
მინდვრის უჯიშო გვიარილები
და ბალახები...
ჩრებიან მხოლოდ ქარისაგან მიტოვებული
თივის ზვინები,
დაძენძილი,
ჩვენი თეთრი ტვინების მსგავსად.

ჩაძირული

ღმერთო,
მომეცი ჩემი ნილი სიმღერის ნება
წყალქვეშ,
რადგან უკვე ჩაძირული მომღერალი ვარ.
რადგან დამთავრდა
ნახევრადტტბილი ჩემი სიცოცხლე -
ყველაფერით სავსე დედამიწაზე -
ღვინით, დროით, სიყვარულით,
ადამიანთა ჩვეულებრივი, უკუნებული
ვნებათაღელვით...
მე უბრალოდ დავიკარგე მდინარის პირას,
ეული ბარდებში გავიხლართე,
მუხლამდე წყალში ავფართხალდი...
(გაღვიძებულმა
ჩემი ღიმილი დავინახე - უცნაური, გაქვავებული,
ვილაც ახალ ჯაცს -
მე ხომ მგავდა ცივი ფერებით,
იერითა და მიმოხვრით,
ასე მიჰქონდა ეს ღიმილი
აბოლებული ნისლებთან და წვიმასთან ერთად.
(ჰეი, მოიცადე ვილაპარაკოთ!)
შრიალებს წვიმა,
(ყველი დღეები უხერხულია ყველი ჯაცისთვის).
მკრთალი ღამეა შემოდგომის და მაინცა ჩანს
ფოთლის ფერები, გამოხიყული ყველი ხეები
და შავი სილა...
მე არ ვიცი,
ეს შეიძლება ყელ ახალი დინებაა
ამ წლისა და შემოდგომისა
და რადგან მთვარე
ცივად ანათებს გამოხიყული
გვამის
უფერული სხეულს,
შეუფერებლად შეფერილს და გაცრეცილს,
უმიზეზოდ,
გაუგებრად დავბრუნებულვარ ამ ქალაში,
შემოდგომის ქრელი ფოთლებით მიმოფენილ
დედამიწაზე.

მარგარეტ იურსენარი

მარგარეტ იურსენარის აღმოსავლური ნოველები სხვადასხვა ეპოქის ადამიანებს წარმოგვიდგენენ თავიანთი ინტერესებით, მოთხოვნილებებით, ოცნებებით თუ იმედების გაცრუებით, სევდით, ტრაგიზმით. ზოგი ბალკანური ბალადებით, ზოგი ჩინური თუ ინდური მითებით, ლეგენდებით არის ნასაზრდოები, მაგრამ ყველა ნოველა ავტორის გრძნობითი და გონებითი ხედვით და ფანტაზიით არის გაერთიანებული.

მზია ბაქრაძისა და მანანა გიგინეიშვილის თარგმანები არის ნიმუში იმისა თუ როგორ უნდა განხორციელდეს თარგმანის მეტად რთული შრომატევადი პროცესი, როგორ უნდა შევუსადაგოთ დედანის ენა და აზრი მშობლიურს, როგორ უნდა შევქმნათ დახვეწილი სტილი წერისა, ვეზიაროთ წერის, აზროვნების, გემოვნების არცთუ ადვილ კულტურას, ასე შესანიშნავად რომ ტოვებს ორიგინალის შთაბეჭდილებას. მარგარეტ იურსენარი გახლდათ პირველი ქალბატონი, რომელსაც პატივი ერგო გამხდარიყო საფრანგეთის ოთხსაუკუნოვანი აკადემიის წევრი თავისი მდიდარი, ორიგინალური შემოქმედებისა გამო.

ვბეჭდავთ მარგარეტ იურსენარის ნოველას "თავმოკვეთილი კალი", რომლის თარგმანი ეკუთვნის მანანა გიგინეიშვილს.

თავმოკვეთილი კალი

კალი, შიშისმგვრელი ქალღმერთი, ინდოეთის ველ-მინდვრებზე დაეხეტება. ერთსადაიმავე დროს ნახულობენ მას ჩრდილოეთსა თუ სამხრეთში, წმინდა ადგილებსა თუ ბაზრებში. ქალები ცახცახებენ მის დანახვაზე. ჭაბუკებს მის გამოჩენაზე ნესტოები ებერებათ და კარის ზღურბლს აწყდებიან. ჩვილი ბალღებიც კი ღნავილით იმეორებენ მის სახელს. შავი კალი შემზარავია და თან მშვენიერიც. მის გაწლობილ ტანს ბანანის ზროს ადარებენ პოეტები. შემოდგომის ამომავალ მთვარეს უგავს მომშვილდული მხრები. დაბერილი კვირტებივით დასკდომაზე აქვს ძუძუები: ახალშობილი სპილოს ხორთუმივით მიირწევა მისი თეძოები: დადის, დაცეკვავს და დაათამაშებს ახალამოყრილი ყლორტების მსგავს ფეხებს. სიცოცხლესავით მცხუნვარეა მისი ბაგეები. სიკვდილივით ღრმაა და უძირო მისი თვალები. ქალღმერთს ირეკლავს ბრინჯაო ღამისა, ვერცხლი განთიადისა, სპილენძი მწუხრისა, ოქრო შუადღის ხვატისა და თავის ანარეკლს აკვირდება კალი. მის ბაგეებს არასოდეს გაუღიმია. მაღალ ყელზე ძვლების შიბი ჭკიდია. სახე ტანზე თეთრი აქვს. დიდ თვალებში სიწმინდე და სევდა ჩასდგომია. გაცრეცილი სახე ცვრიან ცინცხალ დილასავით დანამვია ცრემლით.

ამაზრზენია კალი. ქალღმერთი მოსწყდა თავის ღვთაებრივ მოდგმას, რადგან თავი გაუყადრა პარიებსა და ავაზაკებს. კეთროვანთაგან დალოშნილი სახე დაუმღიერდა. ბღერიან მკერდზე ეკვროდა ჩრდილოელ მექარავნეებს, რომელთაც დიდი ყინვების გამო თავის დღეში არ ებანავათ; ტილიან საწოლში უწვებოდა ბრუციან ბოგანოთ; ბრაჰმანთა ამბორის შემდეგ ეტმასნებოდა წაწყმენდილთ, უწმინდურთა მოდგმას, ნათლის შემგინებელთ, რომელთაც გვამის გაპატიოსნება ევალებოდათ. ჩაღვეელფილ ვეება კოცონთან ჩრდილში გაყუჩდებოდა ხოლმე. უყვარდა უბირი ბრგე მებორნეები, არ თაკილობდა ბაზრის ზანგ მტვირთავებს, საკიდარი პირუტყვივით ნაცემთა და ნაგვემთ. თავს ადებდა საპალნის ღვედებისაგან გადაყვლეფილ მათ მხრებს. ციებცხელებიანი რომ წყალს მოინატრებს, ასე იყო ატანილი საძრახისი სიამის ძიებით და დაძრწოდა კალი სოფლიდან სოფლად, გზაგასაყარიდან გზაგასაყარზე.

როკავდა გახელებული. მისი წვივსამკაული ჟღარუნობდა. თვალთაგან გაუნელებლად სდიოდა ცრემლი. დამწუხრებული ქალღმერთი აღარავის ჰკოცნიდა, წამწამებს აღარავის უცაცუნებდა. სახე უბიწო მთვარესავით გაფერმკრთალებოდა.

კალი, ლოტოსი სრულქმნილებისა, ერთ დროს ინდრას ცაზე ისევე მეუფებდა, როგორც ლურჯი იაკინთის წიაღში. დილა ალმასივით ციმციმებდა მის მზერაში. სამყარო იკუმშებოდა და ფართოვდებოდა მისი გულის ბაგაბუგზე.

მაგრამ კალიმ, ყვავილივით სრულქმნილმა, არ უწყოდა, რომ სრულქმნილი იყო; დღესავით წმინდამ არ იცოდა, რომ წმინდა იყო.

ერთ საღამოს, მზის დაბნელების ჟამს, შურით აღძრული ღმერთები კალის ჩაუსაფრდნენ ჩრდილის კონუსში, მათთან განდობილი პლანეტის მეორე მხარეს, და ელვამ თავი წააცალა ქალღმერთს. გადაჭრილი კისრიდან სისხლის ნაცვლად ნაკადად გადმოსკდა ნათელი. თავმოკვეთილი გვამი ღმერთებმა უფსკრულში მოისროლეს და იგი ჩაენარცხა ქვესკნელში, სადაც ძირს განრთხმულიყვნენ და ქვითინებდნენ ღვთაებრივი ნათლის ვერმჭვრეტნი და ნათლისაგან განმდგარნი. ცივმა ქარმა დაბერა და შეანივთა ციდან ჩამოღვრილი ნათელი. თეთრი ტახტი გამოიკვეთა მთებს მაღლა, ვარსკვლავებით მოჭედილ სივრცეში, რომელსაც მწუხრი ეპარებოდა. ღვთაებრივი ურჩხულები, ღვთაებრივი ცხოველები, ხალხმრავალი ღმერთები ბორბლებივით ბრუნავდნენ და თავისივე თვალისმომჭრელი ნიმბით დაბრმავებულები მიქროდნენ სიბნელეში. პირქუში უკვდავი არსებანი ცოდვებს ინანიებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამხობილი ღმერთები ზესკნელიდან ცვიოდნენ აკვამლებულ ქვესკნელში. აქ დაფორთხავდნენ არსნი. მათ გამოიარეს ცხრა განსაწმენდელი, გამოსცადეს ჭუჭყისა და სიცივის სატანჯველი, სადაც აჩრდილებს სინდისის ქენჯნა ღრღნიდა ჩადენილ შეცოდებათა გამო; მათ გაუძლეს დილეგს გეჰენიისას, სადაც ბილწი ვნებებით გათანგული მიცვალებულები ტიროდნენ, იმ შეცოდებათა წყურვილით ატანილნი, რაც ჩაუდენელი დარჩათ. ღმერთებს უკვირდათ, ადამიანებს ბოროტების ასე მრავალგვარად წარმოსახვის უნარი რომ ჰქონდათ; აოცებდათ სიამოვნებისა და ცდუნების დაუოკებელი წყურვილი და რაგინდარანაირი ხერხები. ძვლებით სავსე გუბეში ლოტოსივით ტივტივებდა კალის თავი და მისი გრძელი შავი თმები ფესვებივით იკლაკნებოდა.

ღმერთებმა აიღეს მშვენიერი თავი, ეძიებდნენ ტანს, რომელიც მას ატარებდა. კბოდესთან თავმოკვეთილი გვამი ეგდო, დასწვდნენ, კალის თავი შეადგეს მხრებზე და გააცოცხლეს ქალღმერთი.

გვამი კი მეძავისა იყო. ჭაბუკი ბრაჰმანის სულის სიმშვიდის დარღვევას ცდილა და მიტომ მოუკლავთ. სისხლისაგან დაცლილი და ფერწასული გვამი წმინდა ჩანდა. ქალღმერთს და მეძავს - ორივეს ხალი ჰქონდა მარცხენა თეძოზე.

კალი, ლოტოსი სრულქმნილებისა, სამეუფეოდ აღარ დაბრუნებულა ინდრას ცაზე. ტანს, რომელსაც ღვთაებრივი თავი დაადგეს, ენატრებოდა სათაკილო უბნები, საძრახისი ალერსი; ელანდებოდა სახლები, სადაც აღვირახსნილ ოცნებებს მისცემოდნენ მეძავები და მწვანე დარაბების ჭუჭრუტანებიდან უთვალთვალებდნენ მუშტრებს. კალი ყრმათა მაცდუნებლად და ჭარმაგთა აღმგზნებად იქცა, მოწიფულ მამაკაცთა გულთამპყრობელი ხარჭა გახდა. კალის სხეულს ცეცხლის ენებს აღარებდნენ ქალაქელი დედაკაცები, რომელთაც, ქმრებისაგან ზურგშექცეულთ, ქვრივობის ჟამი დასდგომოდათ თითქოს. ბილწი იყო ვირთხასავით, საზარელი იყო მინდვრის მღრღნელივით. ადამიანთა გულებს ისე მიიტაცებდა ხოლმე, თითქოს საყასბოს დახლზე დაყრილი შიგანის ნაფლეთები ყოფილიყოს. ავმა ბედმა ფიჭასავით დაუფორეჯა ხელები. შეუჩერებლივ დაძრწოდა ბენარესიდან კაპილავიშტუმდე, ბანგალორიდან შრინაგარამდე. დაძრწოდა ტანი და თან დაატარებდა ქალღმერთის შეგინებულ თავს. წმინდა თვალთაგან შეუშრობელი ცრემლი სდიოდა.

ერთ მშვენიერ დილას, ბენარესში, შემთვრალი კალი ქანცგაწყვეტილი და სახეამღვრეული გამოემართა მეძავთა ქუჩიდან. მინდორში, ნეხვის გროვაზე, ვიღაც დუქმორეული აბდალი იჯდა. კალი რომ დაინახა, წამოვარდა და აეტორღიალა. ქალღმერთს ჩრდილის მანძილზე რომ მიუახლოვდა, კალიმ ნაბიჯი შეანელა, თავისთან მიუშვა.

როცა აბდალმა გული იჯერა, კალი უცნობი ქალაქისაკენ გზას გაუყვა. ორ ქვას შუა წამომართული უშველებელი გველი ის იყო უნდა დასცხრომოდა ბალღს, რომელმაც მოწყალება სთხოვა ქალღმერთს. კალიმ დაინახა, მაგრამ არ ანიშნა პატარას. ბრაზს ჰგვრიდა ყველაფერი, რაც კი ცოცხალი იყო. ამავე დროს სხვათა სიცოცხლით საკუთარი არსების გაძლიერება სწყუროდა. სურდა გული მოეოხებინა ცოცხალ არსებათა ხოცვით. წააწყდებოდნენ ხოლმე სასაფლაოს კიდეში ჩაცუცქულს. ქალღმერთის პირში, როგორც ლომის ხახაში, ხრაშახრუში გაუდიოდა ძვლებს. მწერი რომ თავის ჭუპრებს დაერევა, ასე ნთქავდა ყველაფერს. ნეზვი რომ მიადგება და თქვლეფს თავის ჩხირნკელს, ასე ანადგურებდა ყოველივე ცოცხალს, თავისავე შექმნილთ. ყველაფერს, რასაც სპობდა, ზედ შესდგებოდა, როკავდა, ფეხით თელავდა და ასე ცეკვა-ცეკვით უღებდა ბოლოს. სისხლით მოთხვრილ ბაგეთაგან სასაკლაოს სიმყრალე ამოსდიოდა. მისი ალერსი ნუგეში იყო მსხვერპლთათვის და კალის მხურვალე მკერდის შეხებისას მის ყველა სიავეს ივიწყებდნენ.

ტყის პირას კალი ბრძენს გადააწყდა.

ხელები შეეტყველა და ფეხმორთხმული იჯდა. გაძვალტყავებული სხეული გამომშრალ შეშასავით გამოჰფიტვოდა. კაციშვილი ვერ იტყოდა, ჭაბუკი იყო, თუ მხცოვანი. ჩამომძიმებული ქუთუთოების ქვეშ ძლივს მოუჩანდა ყოვლისმხილველი თვალები. ირგვლივ ნიმბად ადგა ნათელი... და კალის არსების სიღრმიდან დაიძრა წინათგრძნობა საბოლოო დიდი სიმშვიდისა, სამყაროთა შეჩერებისა, არსებათა განთავისუფლებისა, ნეტარების ჟამისა, როცა სიცოცხლე და სიკვდილი სულერთია, როცა ყოველივე არაარსად მიიქცევა. ეს ჭეშმარიტი არარა, რომლის შეცნობასაც იწყებდა კალი, თითქოს შეინძრა მის არსებაში, როგორც ჩვილი ქალის წიაღში.

ყოვლისმიმტევებელმა დიდმა ნუგეშისმცემელმა ხელი აღაპყრო, მგზავრის დალოცვა დააპირა.

- ჩემი წმინდა თავი უწმინდურებას მიეზარდა, - უთხრა კალიმ. - მსურს და არც მსურს, ვიტანჯები და თან ვხარობ, სიცოცხლეც გამცუდებია და სიკვდილის შიშიც მზარავს.

- არავინა ვართ სრულყოფილნი, - თქვა ბრძენმა, - ყველანი ნაკლულევანნი ვართ, ოდენ წილი ვართ ჩვენივე არსებისა, ზმანებები ვართ, უარსო აჩრდილები! საუკუნეთა მანძილზე ყველას გვგონია, რომ ვწუხვართ და ვხარობთ.

- მე ქალღმერთი ვიყავ ინდრიას ცაზე, - თქვა მეძავმა.

- და მაშინაც კი არ იყავ საგანთა ჯაჭვით დაუბორკავი. გასხივოსნებული სხეული შენი ისევე არ იყო განსაცდელისაგან დაცული, როგორც ეს სხეული, ჭუჭყისა და ხორცისაგან ქმნილი. და ეგებ შენ, უბედური დიაცი, შეგინებული რომ დაეხეტები შარაგზებზე, ეგებ შენ უფრო მზად ხარ უსახოსა და უთქმელის შესაცნობად.

- დავიღალე, - ამოიგმინა ქალღმერთმა.

ბრძენმა ხელი შეავლო ნაცარში ამოგანგლულ მის შავ ნაწნავს და განაგრძო: - სურვილმა გამცნო ამაოება სურვილისა, წუხილმა - ამაოება წუხილისა. იქონიე მოთმინება. ჰოი, ცოდვავ, რომელშიც ყველას გვიდევს ბრალი! ჰოი, უსასრულო მადლო, რომლის წყალობით ყოველი სასრული თავის თავს შეიმეცნებს! ჰოი, ღვთის რისხვავ, უეჭველია, არც შენა ხარ უსასრულო...

ფოტო სტუმარი

ირმა გიგანი

სათქმელს ცოტა შორიდან დავიწყებ: პროფესორი რევაზ სირაძე წიგნში, – „საუბრები ქართულ ესთეტიკაზე“, – ერთ ასეთ მესხურ თქმულებას იგონებს:

„მომღერალი სიმღერისაგან დაიწვის და სატრფო, რომელსაც უმღერდა, ფერფლის გვას იწყებს თმებით. ფერფლში ცეცხლის ნაპერწკალი კიდევ ყოფილა, ქალის თმებს მოედება და ისიც ზედ დაიფერფლება“.

ამ თქმულების ალეგორიული აზრი ასეთია, – სულიერი მსხვერპლშეწირვით იბადება სიმღერა.

ლეგენდაში კიდევ ერთი საინტერესო აზრია გაცხადებული, – იწვის აგრეთვე ის, ვისაც ამ ღვთიური ცეცხლის გაგება ძალუძს, ანუ ის, ვინც თანაშემოქმედია.

სამწუხაროდ, ლექსის, მუსიკის, ფერწერული ტილოს არა თუ შექმნა, არამედ გაგებაც რჩეულთა ხვედრია...

ახლა დავუბრუნდეთ იმ მთავარს, რამაც ეს თხზულება გამახსენა:

სიყვარულის, წმ. ვალენტინის დღეს, კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, საქტელემაუწყებლობის აკადემიურ ორკესტრთან ერთად, – დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი, – პირველად უკრავდა ექვსი წლის სოლისტი, ბოლონიის მეორე საერთაშორისო კონკურსის გრანპრის მფლობელი, – ირმა გიგანი.

მსმენელით გაჭედილი დარბაზი სულგანაბული ელოდა პირველი აკორდის აღებას. მოხდა განსაცვიფრებელი რამე – ბავშვმა (სცენაზე ძლივს რომ მოჩანდა) პირველი ტაქტის დამთავრებისთანავე ემოციური კონტაქტი დაამყარა მსმენელთან და ბახის იდუმალ და დიდ ჰარმონიას აზიარა.

მერე იყო შოპენი, შედრინი, შუმანი...

თვალი მოვკარი, – ბატონი გულბათ ტორაძე კონცერტის ბოლოს უნიჭიერეს მუსიკოსს დიდხანს უკოცნიდა და უთვალიერებდა ხელებს.

ქალბატონი დოდო გოგუა კი, მშვიდი, დამაჯერებელი ხმით იმეორებდა, – საქართველოში ბევრი ნიჭიერი ბავშვია. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, – ეს გოგონა ვუნდერკინდიაო...

აბსოლუტური სმენა, მუსიკის ჰარმონიული შეგრძნება, ინდივიდუალური ხედვა და, რაც მთავარია, – დიდი ნებისყოფა, რომელიც, ალბათ მისი გვარიდან და ჯიშიდან მოდის.

დედა, – თამარ ჩარკვიანი. პიანისტი, უნიჭიერესი და ულამაზესი ქალბატონი, რომელიც ისე ფლობს ჟურნალისტურ კალამს, რომ ხშირად პროფესიონალებსაც კი აოცებს, წერს მოთხრობებს.

მამა, – ჯონი გიგანი. ნიჭიერი ბიზნესმენი, მტკიცე, შეუვალი და ნებისყოფიანი პიროვნება. ურთიერთობებში საოცრად გალანტური.

აღსანიშნავია ისიც, რომ ირმა გიგანის ბაბუა და ბებია პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი და ლიტერატურათმცოდნე ირმა ჩხეიძეა.

ირმა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლეა. მეცადინეობს ლიანა ფირალიშვილის კლასში.

– ვცდილობ ირმას ავტორის ჩანაფიქრი ავუხსნა. ჩამოვუყალიბო გემოვნება, თუ, როგორ გაართვა თავი ამ რთულ სამუშაოს, თავად განსაჯეთ – პასუხობს ქალბატონი ლიანა ჟურნალისტებს.

როცა შედიხარ ყინწვისის ტაძარში, ანდა, როცა ნახულობ სვანეთის ტაძართა ფრესკებს, შორეულის, შეუცნობელისა და იდუმალების განცდა გიპყრობს. ასე იყო იმ დღესაც, – ექვსი წლის ირმა გიგანმა სიყვარულის დღეს მსმენელი მუსიკის დიდ იდუმალებას აზიარა.

ეკა ჩილაჩავა



წარმართული ტაძრის ნანგრევი ახ. წ. I-IV ს.ს.

"ირანულენაოვანი" ჰიპოთეზები და ნეკრესის წარმართული "ჯვთა ოლოლის" იდუმალი ჰანრმონია

(იბეჭდება შემოკლებით)

"ქართული ანბანის თვით მოხაზულობა ისეთია, რომ ის არ შეიძლება წარმართობის ხანის არ იყოს, არამცთუ დამწერლობა წარმართობის ხანის უნდა იყოს, არამედ უძველეს ხანას ეკუთვნის".

ივანე ჯავახიშვილი

ქართული ანბანისა და დამწერლობის წარმოშობის თემატიკა უამრავ კითხვას ბადებს, და ეს სავსებით ლოგიკურია, რადგან მასთან დაკავშირებული გარემოებები ჟამთასვლის ბურუსითაა მოცული და საუკუნეთა სიღრმეებიდან გამოძახილის იდუმალი ექო მრავალ ამოუცნობ დეტალზე მიგვანიშნებს; რაც უფრო აქტიურად ვიკვლევთ ამ საკითხს, მით უფრო იჩენს თავს ბევრი საგულისხმო, ყურადსაღები რამ, რომელიც უკვე არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ უმნიშვნელო ნიუანსად დამწერლობათმცოდნეობის აბობოქრებული ოკეანის ფონზე. ამ შემთხვევაში, კონკრეტულად იგულისხმება ძ.წ. II ს-ში დაარსებული ქალაქის ნეკრესის ნაქალაქარში ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძველი ქართული წარწერები (ასომთავრული). ვიდრე აღნიშნულის თაობაზე მოვუთხრობთ მკითხველს, საჭიროა მცირეოდენი ისტორიული ექსკურსი ქართული ანბანის, დამწერლობის სათავეების და მის წარმომავლობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხთა გარშემო.

ქართული ანბანის და დამწერლობის წარმოშობის შესახებ შორეული პერიოდიდანვე გამოთქმულია უამრავი მოსაზრება, შექმნილია რამდენიმე თეორია და მისი კვლევა დღემდე გრძელდება. ამრიგად, მრავალი ქართველი თუ უცხოელი მკვლევარი შეეხო ამ თემატიკას. მაგრამ ჭეშმარიტება ძნელად მისაკვლევია, და თუ მიაკვლიე, მაშინ მისი აღიარება და დაცვა უფრო ძნელი... დიახ, სიმართლეს ძნელად სავალი გზა ერგო მრავალ გარემოებათა გამო.

ცნობილი ფაქტია, რომ ქართველები წინაქრისტიანულ პერიოდში აქტიურ კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ და თავის სიტყვას ამბობდნენ ცივილიზაციის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებზე. არქაული ხანის დამწერლობის ძეგლები კი შეიცავენ ცნობას ხეთის ჯგუფის ხალხების: მუსხები (მესხები), თობელების (ჰიბერების), კასხების (კოლხების) შესახებ. ისინი თანამედროვე ქართველთა უშუალო წინაპრებადაა მიჩნეული. სავსებით ბუნებრივია ის ლოგიკა, რომ ამ დიდი კულტურის მქონე ხალხებს ექნებოდა თავისი, საკუთარი დამწერლობა, და უფრო მეტიც, ისინი მის გარეშე ვერც მიიღებდნენ მონაწილეობას ცივილიზაციის შექმნაში.

ბედის ირონიით, ასეთი შორეული პერიოდიდან მომავალი ხალხის დამწერლობის საწყისად რატომღაც მიჩნეულ იქნა ჩვენი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნე (იმ მიზეზით, რომ არ არსებობდა დამადასტურებელი საბუთები, კონკრეტული წერილობითი ნიმუშები, რომლებიც უეჭველია, რომ ჟამთა სიავის გამო გაქრა). ამ ანაქრონიზმმა გარკვეული მხარდაჭერა ჰპოვა და გარდა ამისა, სხვა მრავალი ანაქრონიზმი შვა და ასაზრდოვა...

ისტორიული წყაროები კი ჯიუტად მიუთითებენ, რომ ქართული ანბანი, დამწერლობა უშორეულესი პერიოდიდან მოდის.

ამ მხრივ საინტერესოა ბერძნულ-რომაული წყაროები, სადაც არაერთხელ აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ, ძველ კოლხებს უძველესი პერიოდიდან ჰქონდათ დამწერლობა. ჩვ.წ.აღ-მდე II ს-ის მწერალს ხარაქსი პერგამელს ასეთი ცნობა აქვს მოცემული: "ოქროს საწმისი იყო ეტრატებზე აღნუსხული ხერხი ოქროდამწერლობისა, რომლის გამოცო ამბობენ, როგორც ღირსსარწმუნოა, "არგოს" ლაშქრობა მოეწყო. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" (ძვ.წ.აღ.მდე II ს.) კი წერია, რომ "კოლხებს შენახული აქვთ მამა-პაპური ძველი კვირბები, წვრილსვეტები და მასზე ნაჩვენებია გზები ყოველთა ზღვათა და ხმელთა" და ა.შ.

აპოლონიოს როდოსელის ცნობასთან დაკავშირებით გ. მელიქიშვილი აღნიშნავდა, რომ ეს ცნობა არისო ისტორიული მოწმობა იმის შესახებ, რომ ძველ კოლხეთში დამწერლობა არსებობდა, ხოლო ჩანაწერები კვირბებზე უნდა მივაკუთნოთ ძველი კოლხეთის სამეფოსო.

ა. ურუშაძემ გამოიკვლია „კვირბის" ეტიმოლოგიის ისტორია ძველ საბერძნეთში. კვლევამ ის კოლხეთის კულტურასთან მიიყვანა, რაც ძალზე საგულისხმოა. მისი კვლევით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ძველი ბერძენი ავტორების ერთი ნაწილი კვირბებს კორიბანტულ წმინდა წარწერებს უკავშირებს. (თეოპომპე, თეოფრასტი, აპოლოდორე, სვიდა) ანტიკური წყაროების თანახმად კი კორიბანტები მცირე აზიის ავტოხთონური ტომებისა და წინაელინურ პერიოდში კრეტაზე მოსახლე პელასგების მატრიარქალური ღვთაების კვიბელეს ქურუმები იყვნენ.

ბერძნულ გადმოცემებში დაცულია ცნობები მათი კოლხური წარმომავლობის შესახებ, სტრაბონი ძველ წყაროებზე დაყრდნობით გადმოგვცემს, რომ კორიბანტები, რომელთაც დამწერლობის - კვირბების შექმნა მიეწერებათ, კოლხთაგანნი არიან და მჭიდროდ უკავშირდებიან რკინის მეტალურგიას, მჭედლობის მფარველ ლემნოსელ კაბირებსო.

კ. რიტერის განმარტებით, კვირბები, კირიბიშები ნახაზებს კი არ შეიცავდა, არამედ კარტოგრაფიულ ტექსტს. სხვა თვალსაზრისით (ვ. სიჭინავა) კირიბიშის ეტიმოლოგია მეგრული ლექსემით – "კირიბით" აიხსნება, რაც ნიშნავს „კრავს"-კირიბიში ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა. აქედან გამომდინარე კირიბიში ნიშნავს ცხვრის ტყავს.

ძველი ბერძნების დაკვირვებით, კირიბის გენეტიკურადაა დაკავშირებული ეთნონიმ კორიბანტთან. ამ ორ სახელდებაში „კირიბ" და „კორიბ" ერთი და იგივე ოდენობაა, ოღონდ პირველს სუფიქსი ის(იმ) დაერთვის, მეორეს - ანთი(ანტი). ამიტომ არ იქნებოდა მოულოდნელი, ცხვრის ტყავზე, ეტრატზე, პერგამენტზე, ანუ კირიბისზე წერის ხელოვნების შემოქმედი ხალხი ბერძნებს მოეხსენებინათ კირიბანტებად, ანუ კორიბანტებად.

ბერძნები, რომლებიც თავიანთ თავს ყველაზე მაღლა აყენებდნენ და ყველა არაბერძენს ბარბაროსს უწოდებდნენ, ასე იოლად არ აღნიშნავდნენ კოლხური დამწერლობის არსებობის შესახებ, ეს იმ დროისათვის, ხარაქსი პერგამელის არ იყოს, მართლაც ღირსსარწმუნო ფაქტი რომ არ ყოფილიყო. ამ ამბავს, როგორც "ღირსსარწმუნო ისტორიას" გადმოგვცემს კვლავ ბერძენი ავტორი ევსტათი თესალონიკელი, თითქმის 1000 წლის შემდეგ, მე-12 საუკუნეში დიონისოს პერიგეტის ერთ-ერთი თხზულების განმარტებისას. ამრიგად, კოლხური დამწერლობის არსებობა იყო უტყუარი ფაქტი. ამას ჩვენ არავინ „მოგვიგონებდა", არავინ „შეგვითხზავდა". ამ მხრივ „შეღავათს" არ გაგვიწ-

ეკლენ, მით უფრო თავიანთი კულტურით თავმომწონე ბერძნები.მაშ რატომ მიანიშნებდნენ ისინი იმის არსებობაზე, რაც უკვე დაკარგული და მივიწყებული იყო, ე.ი. პრაქტიკულად არ არსებობდა. მაშ რად დააფიქსირეს უცხოელებმა ეს ფაქტი თავიანთ წარწერებში?! იმიტომ, რომ პირველ რიგში ძველი ბერძნები ისტორიას სცემდნენ პატივს!!! როგორც ჩანს, მართალი ისტორია მაშინ უფრო მისაღები იყო ვიდრე დღეს. დიახ, ისტორია პირუთვნელი მსაჯულია! ამ ჭეშმარიტების შესახებ კარგად უწყოდნენ ბრძენმა ბერძნებმა და ამიტომაც პრიორიტეტი თავიანთ წყაროებში სწორედ „ღირსსარწმუნო“ ისტორიას მიაკუთვნეს. დიახ, იცოდნენ გამჭრიახმა ბერძნებმა, რომ ისტორიას ვერ იყიდი!!! რომ მართალი ისტორია გაცვლა-გამოცვლისა და ყიდვა-გაყიდვის ობიექტი ვერ იქნება!!!

... და იქნებ ეს კოლხთაგან იღუმალთმცოდნეობას ნაზიარები ბერძნების შინაგანი მაღლიერების გამოხატულებაც იყო...

რაც შეეხება ქართველ ავტორებს, მათ აღრიდანვე გარკვეული ჰიპოთეზები გააჩნდათ იმის თაობაზე, რომ ქართველ ტომებს დამწერლობა ჰქონდათ ძველ ხანაში. ლეონტი მროველის ცნობით, ქართული ანბანი შემოღებულია ფარნავაზის მეფობის დროს, ანუ ძვ.წ. IV-III სს. მიჯნაზე. ის წერს: “ამან (ე.ი. ფარნავაზმა) განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დაცულია ერთი შესანიშნავი და ძალზე საყურადღებო ცნობა ქართული დამწერლობის სადაურობისა და მისი წარმოშობის შესახებ. ეს ცნობა ანტონ II კათალიკოსის წიგნიდან “მატიანე შემეცნებათა“ 1822 წელს ამოუწერია თეიმურაზ ბაგრატიონს. ამ უსამართლოდ მივიწყებულ დოკუმენტს ხელმეორედ გურამ შარაძემ მიაკვლია.ეს ცნობა გვაუწყებს, რომ “არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამთაცა შინა, ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესითა წერილითა, ესე იგი ქურუმთა მათ, რომელთაცა უხუცესთა და ხევის-ბერთა უხმობენ, იგინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ. და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ჩვენი... წერილნი ხუცესნი პირველსა ჟამსა ქმნილ არის წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენნი ხუცურნი“.

ამ ცნობის შესახებ რ. პატარიძე აღნიშნავს: „მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ერს არ გააჩნია მსგავსი სისრულის მქონე ცნობა საკუთარი დამწერლობის წარმოშობის თაობაზე. ამ მართლაც უბადლო ცნობის წყალობით ჩვენ საბოლოოდ ვიცით, რომ ქართული ანბანი წარმართული ეპოქის ძეგლია და ქართველ ქურუმთა წიაღშია აღმოცენებული. ახლა ისიც ვიცით, თუ რატომ ეწოდება ქართულ დამწერლობას “ხუცური“. “ხუცური“ ქურუმთა დამწერლობას ნიშნავს. ამიტომ ცხადია “მრგვლოვანს“, “კუთხოვანს“ და ნუსხურს ქურუმთა დამწერლობა ჰქვია“.

საყურადღებოა, რომ ქურუმები წარმართული ხანის ღვთისმსახურები იყვნენ. წარმართობის ხანაში კი კოლხურ-იბერიული კულტურა ყვაოდა. ამრიგად, ქართული ასომთავრული დამწერლობა ფარნავაზ მეფის დრომდე არსებული და იგი ქურუმებს შემოუღიათ. ახ. წ. აღ. VII საუკუნის ისტორიკოსი იოანე ანტიოქიელი თავის „მსოფლიო ქრონიკაში“ გადმოგვცემს: „იასონმა და მისმა მხლებლებმა, პონტოს ზღვით კოლხეთს მიღწეულებმა, მოიპოვეს მედეა და ე.წ. ოქროს საწმისი. ეს ის კი არ იყო, როგორც პოეტურად გადმოგვცემენ, არამედ წიგნი ტყავებზე ნაწერი, თუ ვით უნდა გაკეთდეს ოქრო ქიმიის საშუალებით“, - აქ საუბარია საიდუმლო ცოდნაზე, რომელსაც ფლობდნენ სწორედ ძველი კოლხი ქურუმები, ეს უეჭველია.

ამრიგად, ბერძენი ავტორების ცნობები გვაუწყებენ კოლხური დამწერლობის არსებობის შესახებ წინაბერძნულ პერიოდში, კრეტა-მიკენის კულტურის აყვავების დროს.

სომხურ წყაროებში დაცული ცნობით, კერძოდ, თხზულებაში, რომელიც მიეწერება კორიუნს, აღნიშნულია, რომ ქართული, სომხური და ალბანური ჩვ.წ. III ს-ის I მეოთხედშია გამოგონილი სომეხი მესროპ მაშტოცის მიერ. კორიუნმა ქართული ანბანის დამწერლობის წარმოშობა ქრისტიანობის ეპოქაში გადმოიტანა, რაც ანაქრონიზმი იყო. ეს დაამტკიცა არქეოლოგიამ, ნეკრესის აღმოჩენამ. ვიდრე ამაზე ვისაუბრებდეთ, აღსანიშნავია, რომ სომხურ თეორიას მაშინ ზოგი დიდი მეცნიერიც კი მიემხრო: კ. კეკელიძე ამტკიცებდა, რომ “ქართული ანბანის გამოგონება ჩვენ უნდა დავდვათ მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში, არაუადრეს 412 წლისა, როდესაც სომხური ანბანი იქნა შემოღებული“.

ივ. ჯავახიშვილმა თავის დროზე პრინციპულად უკუაგდო კ. კეკელიძის მოსაზრება. იგი წერს: „თუ სომხური და ქართული მართლაც ერთსა და იმავე დროსა და ერთი და იმავე პირის შედგენილია, ცხადია, მათ ასოთა მოხაზულობას შორის დიდი მსგავსებაც უნდა იყოს და ასოებიც ერთსა და იმავე რიგზე იქნება ანბანში დალაგებული. საკმარისია, აღამიანმა სომხური და ქართული ხუცური, ასომთავრული უძველესი მოყვანილობის ასოები ერთი მეორეს გულდასმით შეუდაროს, რომ დარწმუნდეს, რამდენად დაშორებულია და არ მიაგავს ერთმანეთს ქართული და სომხური ანბანი, ორიოდე ასოს გარდა. ორივე ანბანის ყველა ასო მოხაზულობით არსებითად განსხვავდება“.

ივ. ჯავახიშვილი ემხრობა ქართული ანბანის ბერძნულთან ნათესაობის თეორიას. “ქართული ანბანის რიგი უძველეს ბერძნულისას ან უფრო მისი წყაროს რიგს მისდევს...“ მაგრამ თუკი ძველი ბერძნები თავიანთ ისტორიულ წყაროებში დაბეჯითებით მიუთითებდნენ კოლხურ დამწერლობაზე, მაშინ, ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული თვით კოლხურ დამწერლობას მოეხდინა გავლენა ბერძნულზე და ის, ბერძნული გავლენა, რაც ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, ქართულ ანბანში ექოს პრინციპს წარმოადგენდეს, დიახ, ჰაერში ასროლილი ქვა იქ დაეცემა, საიდანაც ის აისროლეს.

და აი, ჰიპოთეზებმა და ვარაუდებმა რეალური არქეოლოგიური დადასტურება ჰპოვეს! ის რომ ქართული დამწერლობა ანბანი მე-5 ს-დან იღებს სათავეს (სომხური თეორია და კიდევ სხვადასხვა ჯურის თეორიები) გააცამტვერა ნეკრესის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების აღმოჩენებმა, სადაც იპოვეს ასომთავრულით შესრულებული წარმართული ტექსტები.

ცნობისათვის: ნეკრესის ნაქალაქარი მდებარეობს ყვარელიდან 8 კმ. მანძილზე. იგი ცნობილია თავისი ქრისტიანული ეკლესიებითა და სასახლის ნანგრევებით. აქ ისტორიული მუზეუმის ექსპედიცია 1984 წლიდან ატარებს გათხრებს. ნეკრესი, იგივე ნელქერი, არსებული მწირი წერილობითი ცნობების თანახმად, ძვ.წ. II ს-ში დაუარსებია მეფე ფარნაჯომს. იმავე საუკუნის ბოლოს მეფე არშაკმა “განაშუენა ნელქერ ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი“. მე-4 საუკუნის ბოლოს მეფე თრდატი აქ აშენებს ეკლესიას. ნაქალაქარზე მიმდინარე საველე სამუშაოების შედეგად აღმოჩნდა ჩვენი აღრექრისტიანული წარმართული ქართული უძველესი დამწერლობისა და ასევე არქიტექტურის ძეგლები.

ამრიგად, ნეკრესის ნაქალაქარის გათხრების დროს გამოვლინდა უძველესი ქართული წარწერები, ასომთავრულით შესრულებული წარმართული ტექსტები. ამ უმნიშვნელოვანეს ფაქტთან დაკავშირებით ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს პროფ. ლევან ჭილაშვილს, რომელმაც ნეკრესში აღმოჩენილი უძველესი ქართული წარწერების შესახებ გვაუწყა, რომ “საერთოდ ნეკრესში გათხრები 1972 წლიდან მიმდინარეობს და ერთ-ერთი წარწერაც სწორედ მაშინ იქნა ნაპოვნი“.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, 30 წელზე მეტი, თუ რატომ არ იცოდა აქამდე ამ ფაქტის შესახებ საზოგადოებამ,

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონმა ლევანმა ასე გვიპასუხა: „მაშინ არავინ დაგვიჯერებდა, ამიტომ შევინახე და დაველოდე ახალ აღმოჩენებს“.

ამაოდ არ ჩაუვლია ბ-ნი ლევანის მოლოდინს და სხვა წარწერებმაც არქეოლოგების წყალობით ნელ-ნელა, თანდათანობით დააღწიეს თავი მიწის ბნელეთს და გამომზეურდნენ. სულ 9 წარწერა აღმოჩნდა. კონკრეტულად თუ როგორი სახის და შინაარსის წარწერებია და რაზეა შესრულებული ბატონმა ლევანმა აგვიხსნა: „ესენია მეტწილად ბრტყელი ქვის ფილის ნახატებზე ამოჭრილი ქართული ასოები (ასომთავრული) - აქ ვხვდებით საკუთარ სახელებს, რიცხვით სახელებს, საფლავის წარწერებს და გარკვეული შინაარსის მქონე ფრაზებს. უმთავრესად წარწერები ნაკლულია და მიმდინარეობს სერიოზული კვლევები მათ გასაშიფრად. მაგალითად, მარნის ტერიტორიაზე ქვევრის პირის ფრაგმენტზე იკითხება „ეს ჭური მე დავრგე“. ეს წარწერაც ნაკლულია. სავარაუდოა, რომ იგი მიძღვნითი ტექსტია, ვინაიდან პირველი ორი ასო „მ-ბ“ ქარაგმაა და იშიფრება როგორც „მითრა-ბაგა“, ე.ი. „მითრა ღმერთი“ ანუ ქართულად „მზეო უფალო“. ნაქალაქარის ტერიტორიაზე 1972 წელს ნაპოვნ წარწერაზე იკითხება „ვიჭ“, მომდევნო სამი ნიშანი ვერ იშიფრება, შემდეგ კი იკითხება „ავანისი ნუმცავინ წაღვერთვეს“. ე.ი. ლაპარაკია ავანის საკუთრებაზე, რომლის წართმევასაც კრძალავენ. ახ.წ. I საუკუნეში ავანი აღნიშნავდა ქალაქის პირის დასახლებას. აქედან „ავანი“, „უბანი“. ნეკრესის ახლოს მდებარეობდა ქალაქი ავანი, შემორჩენილია ტოპონიმი ავანისწყალი“.

წარწერების ასაკთან და დათარიღების საკითხებთან დაკავშირებით ბ-ნი ლევანი განმარტავს: „ეს წარწერები წინაქრისტიანული ხანისაა, რადგან აქ არ შეხვდებით ქრისტიანობის პერიოდისათვის დამახასიათებელ ტექსტის გამხსნელებს „ქ“ ან მიმართვას „ქრისტე“, „უფალო“, შესაბამისად, არც ქრისტიანულ დაბოლოებებს ვხვდებით „ამინ“, „იყოს“. წითელი, პრიალა კერამიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელზედაც წარწერებია შესრულებული, ისინი ქვედა ფენას განეკუთვნება და ამიტომ ძვ.წ. I საუკუნით თარიღდება. კიდევ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ის მომენტიც, რომ დასტურდება აგრეთვე შავპრიალა კერამიკის ფრაგმენტები. აქედან გამომდინარე, თარიღი ძველდება 2-3 საუკუნით. ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნ კერამიკაზე შეინიშნება არქაული ნიშნები. ესაა დაბალ რელიეფზე გამოსახული მცირე ზომის ჯვარი, რომელიც წრეებითაა შემოსალტული - ეს მზის გამოსახულებას წარმოადგენს“.

აქვე აღვნიშნავთ, რომ არქეოლოგებმა წარმართულ ტაძარსაც მიაგნეს და მისი ნაწილობრივი რესტავრაცია მოახდინეს. ბ-ნმა ლევანმა აღნიშნა: „ძალზე საინტერესო და საყურადღებოა ის, რომ მას ანალოგები არა აქვს. ის ახ.წ. I-IV საუკუნეებით თარიღდება და დაინგრა ქრისტიანობის შემოსვლისას. საკმაოდ მასშტაბური ტაძარია (50მ.X50მ.) მას ვერცერთი პერიოდის არქიტექტურას ვერ შევადარებთ. ძალზე შორეულ მსგავსებას ავლენს სპარსეთში არსებულ სასანური ხანის ძეგლთან - ფირუზაბადის სასახლესთან.

ამრიგად, ნეკრესის ნაქალაქარზე გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალები რეალურ საფუძველს წარმოადგენენ იმისა, რომ უძველესი ქართული ანბანისა და წერილობითი ძეგლების თარიღი გადაწეულ იქნეს ჩვ. წ. აღმდე III-IV საუკუნიდან კიდევ უფრო შორს საუკუნეთა სიღრმეში. მაშასადამე, აქ უკვე ვარაუდები და ჰიპოთეზები ქრებიან, მრავალი ჰიპოთეზა კი რეალურ მტკიცებად იქცა, ანუ „ღირსსარწმუნოა“ ნეკრესის ნაქალაქარის წარმართულ „ქვათა ღაღადის“ წყალობით, რომელთა იდუმალი ჰარმონია უძველესი საიდუმლოს, წარმართული საიდუმლოს ლაბირინთებში გვიხმობს და არქაულ ხანასთან გვაახლოებს.

ახლა კვლავ მივუგდოთ ყური დიდ მეცნიერებს:

ივ. ჯავახიშვილი ქართული ანბანის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით საბოლოოდ ამგვარ მოსაზრებას ავითარებს: “შეიძლება ითქვას რომ ერთი მხრით, ჯერხანად ცნობილი Vს ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითვარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოტა 7-8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმებელი...“

აკად. გ. წერეთელი ქართული დამწერლობის არსებობას ასევე V ს-ზე გაცილებით ადრე ვარაუდობდა და აღნიშნავდა: “ამ ვარაუდს ხელს არ შეუშლის ის გარემოება, რომ მეხუთე საუკუნეზე ადრინდელი ქართული წარწერა ჯერჯერობით ნაპოვნი არაა. დამწერლობათა ისტორიაში მრავალია შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ ენის ადრინდელი ეპოქის წერილობითი ძეგლები არაა შემონახული. თუმცა ნამდვილადაა ცნობილი, რომ ამ ენაზე მწერლობა არსებობდა. ქრისტიანული ეკლესიისათვის მიუღებელი იქნებოდა წარმართული დროის წერილობითი ძეგლები: გარეშე მტრების შემოსევისა და ლაშქრობის ნაკლებობა არც საქართველოში იყო. ხოლო ჩვენი კლიმატი და ნიადაგი არ ქმნიდა უფრო ხელსაყრელ პირობებს, ეტრატებისა და პაპირუსების შენახვისათვის, ვიდრე პალესტინაში“.

ბოლოს ქართული სამყაროსა და არქაული ხანის ურთიერთმიმართების შტრიხების შესახებ. აკად. შ. ამირანაშვილი თავის წერილში “საქართველოში ნაპოვნი არქაული ხანის დამწერლობის ნიმუშები (1961 წ.) სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ “ენეოლითური და ბრინჯაოს კულტურის განვითარების მაღალი მხატვრული დონე უთუოდ ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას დამწერლობა უნდა ჰქონოდა“.

მაშასადამე, ქართული ანბანისა და დამწერლობის საკითხი არქაულ პერიოდს უკავშირდება.

ქართულ დამწერლობათმცოდნეობაში არსებობდა და არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ქართული ანბანის დამწერლობის გენეზისისა და მისი განვითარების სახეების შესახებ. ეს სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა უძველესი პერიოდიდან დროდადრო ეპოქალური, გრანდიოზული მასშტაბის კატაკლიზმებს განიცდიდა და ბუნებრივია, მის დამწერლობაში შესაბამისად აისახებოდა გარდასულ უძველეს კულტურათა ანარეკლი.

... ნეკრესის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი წარმართული ხანის ქართული ასომთავრული წარწერები ნაწილობრივ შეავსებს ინფორმაციის იმ ვაკუუმს, რომელიც მაინც არსებობს ქართული ანბანის გენეზისის თაობაზე. ამრიგად, ნეკრესის ნაქალაქარის წარმართული წარწერები არის რეალური ფაქტი-მტკიცებულება ქართული წარმართული ხანის დამწერლობის არსებობისა, ასევე წარმოადგენს მრავალი ახალი ჰიპოთეზისა და ვარაუდის სერიოზულ საფუძველს. იგი საიმედო გზამკვლევის როლს შეასრულებს მეცნიერთათვის ქართული დამწერლობის სათავეების ძიების გზაზე.

მანანა სტვილია

ნეკრესის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ნაპოვნი საფლავის ქვა: მასზე შემდეგი სიტყვები იკითხება: „ფარსმან აზატისა არს ნუმცა ვინ ხრევს“. ტექსტის შინაარსი ასეთია: საფლავი აზატის (ე.ი. აზნაურის) საკუთრებაა და ნურვინ აურევს, ე.ი. ნურავინ ხელყოფს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ბედოშვილი

ირმა და ჯოჯიკა ირიდი

მოთხრობა

- გაგონილი გექნება, ჩვენს დედოფურს ირმა რომ გვიქვია. ლამაზი, შნოიანი საქონელია და სახელიც, მართალი გითხრა, ზედ აკვდება. მთელი მეზობლობა, შინაური თუ გარეული, იმთავითვე თვალით ჭამდა. ისეთი ლამაზი, ისეთი მალხ-აზი იყო, იტყოდი, ხბო კი არა, ნამდვილი ანგელოზიაო! იმის ცქერას მართლა არაფერი სჯობდა, - მსხვილშავთვალება, ყელყარყარა, ვარდის კოკორივით შეკ-რული... მერე როგორი თამამი, როგორი ხტუნია!.. ერთს რომ დათამაშდებოდა, იფიქრებდი, ხტომა-ნავარდი იმ მაღალ ღმერთს ირმასთვის დაუნათლებიაო! ხბოო-ბით, როგორ გითხრა, ნამდვილად ხბო იყო, მაგრამ ხასიათით, სიცელქით და ეშმაკობით ყმაწვილისაგან ძნელად თუ ვინმე გაარჩევდა. დილით სახბორიდან ხელში ატატებულს რომ გამოიყვანდი, ფართხალებდა, ფეხებს ძირს იწვდიდა, თითქოს მეჩხუბებოდა, სირბილი მინდა, რატომ არ ჩამომსვამო?! გავუშვებდი და, მოგეცა ლხენა, ის ნავარდს მოჰყვებო-და; აიშვერდა იმ თავის პატარა შავფოჩიან კუდს და გაჰკრავ-გამოჰკრავდა ხან ზემოთ, ხან - ქვემოთ!

დედამისი, ფიქრია, როგორც კი შვილის ხტუნვა-ბაკუნის ხმას გაიგონებდა, ერთ ბმუილს ატეხდა, თითქოს გვებუხტუნე-ბოდა, ჯერ რძე არ მიმიცია, ვინ გაიგონა უბმობე მისი ამდენი სირბილიო! ვინ მისცა, საიდან ჰქონდა დედა-შვილს ამოდენა აბრი, გონიერება, გასაკვირს ვიყავი! იმისი დაჭერა ვის შეგვეძლო, - მე თუ ჩემს ბებერს? ისევ ფიქრია დააშო-მინებდა, - გამოვუშვებდით გომურიდან, ერთს შეუბღავლებდა და ჩვენი ახტაჯანაც დედისკენ თავქუდმოგლეჯილი გაენ-თებოდა! სილამაზე-სიკოხტავე - სიკოხტავედ, მაგრამ, რა დაგიმალო, დიდი ღორმუცელა ვინმე კი ბრძანდებოდა, - ცურს თუ დროით არ მოვაშორებდით, ოთხივე თითს ისე ჩამოგვიწოვდა, მშრალზე დაგვყრიდა, წვეთ რძეს აღარ დაგვიტოვებ-და. კაცმა რომ თქვას, ირმას დედა, ფიქრიაც, დიდი ჩუმჩუმელასერთი ვინმე იყო! როცა გულს დააჯერებდა, შვილი უკვე მაძღრისად მყავსო, ჩვენ წილ რძეს მაშინღა ჩამოგვაწველინებდა; მანამდე კი, წვეთი რა არის, იმასაც არ გვაღირსებდა!

აი, ასეთ ფერება-ფერებაში იზრდებოდა ჩვენი პატარა ქაბატო! პატარაო, - სიტყვის ბაღლად ვამბობ, თორემ პატარაო-ბისა იმას არაფერი ეტყობოდა: შვიდი თვისამ ძუძუ თავისი ნებით აკრძალა, ალბათ, საკუთარი ტანისა რცხვენოდა: წინა ორ ფეხზე თუ არ ჩაიჩოქებდა, დედას ჯიქანქვეშ ველარ შესჯდომოდა, ტანი არ უშვებდა. ფიქრიაც, უკვე შრობაზე წასული, ონავარ შვილს ცურს საჯველერთად ძველებურად აღარ ანებებდა, ისე, თავ-რქით ფრთხილად, მაგრამ მაინც იგერიებდა, თან თითქოს საყვედურობდა, დამეხსენ, ქალო, უკვე დიდი ხარ, რაღა დროს შენი ძუძუს წოვაა, მარტო მეზობლის ხბორე-ბი დაგვინახავენ, სირცხვილით თავი მოგვეჭრებაო!

ძუძუდან მოსხლეტილს რომ არ ედარდა, პირველ ხანებში ქატოს ვუნერცხებდით. წარმოიდგინე, რძეზე ნაკლები სიამოვნებით არც იმ ნერცხს მიირთმევდა. ნერცხი არ იქნებოდა და, ხომიზურის ახოებიდან ისეთ ლორთქო ბალახს მოვუშიდავდი, თვალი მომცა და მაყურებინაო! ბალახი იყო, ბალახი იყო, იმას ძუძუსდაშორებული ხბო კი არა, კარგად მოშივებული კაციც არ დაერიდებოდა! ასეთ პირის პატივში მთლად გაკერპდა, გათავისწვერდა, - წკეპლით რომ აგე-ჭრელებინა, არაგვის ცივი, კამკამა წყლის გარდა სხვა წყალს პირს არ დააკარებდა! გადავიყვანდი შვინდიანის ხევზე ან ჯახის წყალზე, შენც არ მომიკვდე, ერთ ყლუპს არ გადაიცილებდა! საეშმაკოდ კი სულს არ იშურებდა; ჩაყოფდა შიგ თავის ლამაზად მოკვერცხილ შავ დრუნჩს და, ვითომ სვამდა, წყალს ბუყბუყს აუყენებდა, ბუშტებს უშვებდა, თან ცერად ამომხედავდა, ოინბაზობას მიმიხვდება თუ ვერაო! მატყუებდა, ბალღივით მათამაშებდა. არადა, ხომ ვიცი, სწყურია! არ სვამს და, - მოკალი, შეაჩვენე, შეარისხე! რა მეტი ღონე მქონდა, გამოვიგდებდი, არაგვისკენ გამოვუძღვებოდი–არაგვისკენ მიგყევარო, ერთს შეხტებოდა, დათამაშდებოდა და, ჯერ მისული სად ვიყავი, ის უკვე დარწყულებული, კარგად მობურთული, იდგა და კუდის თამაშ-თამაშით მელოდა. ეშმაკი, კაცო, ეშმაკისფეხი!...

წლისა რომ გახდა, ორ წელზე ნაკლებს არავინ მისცემდა, ორი წლისას კი სანაშენოდ დასრულებული უშობლისაგან კაციშვილი ვერ გაარჩევდა. დიდი იყო, მოსული, თან ისე მკვრივად, ლამაზად ნაგები ტან-ფეხი ჰქონდა, აკვანში გაუზრ-დიათო!

ერთ გაზაფხულს, თიბათვე დგებოდა, მივდივარ გამოსაშვებად და, ვაი, შენს ანანოს! ირმას ბაკი ცარიელი მხვდება!.. კარი დაკეტილია, არც ნაწვალები, არც არაფერი... ეტყობა, ხარიხეს თავს გადაეელო და გავარდა, გაუჩინარდა!... ცარიე-ლი ბაკის დამნახავს გულმა ავად დამიშხილა, მაგრამ ჩემსკენ მომავალ მაკას მაინც იმედიანად შევეხმიანე, ალბათო, - ვეუბნები, - მოსწყურდა, თავის არაგვზე ჩავიდოდა-მეთქი.

- არაო, - ამოიკვნესა ქალმა, - როდის იყო წყალზე უშენოდ ფეხს აღგამდა, იმის თავს რაღაც ამბავიაო...

ადამიანი, ხომ იცი, მუდამ ავსა და შავს ელოდება, კარგს იშვიათად თუ ვინმე იგუმანებს!...

რომ აღარ გამოჩნდა, მაშინ კი ქვეყანა შევძარი. აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მაგრამ, რას ეძებ, რა დაგიკარგავს! არც არავინ - მნახველი, არც არავინ - მანუგეშებელი! ავდექი და თავახოებში ავედი, იქ ყოფნა უყვარდა, საშუადღეო საწოლ-იც იქ ჰქონდა ამოჩემებული,.. რაც მე იქ ვიარე, მამული მოუჩხრეკავი არ დამიტოვებია, მაგრამ - არაფერი, ლამის იმედის თვალი ჩამიშრეს...

როდემდის ვიარე ასე უნუგეშომ, ისიც აღარ ვიცი. კიდევ კარგი, ერთ დილას ჩემი მაკა მეუბნება:

- ანანო, კაცო! რატომ მენახირე ელიზბართან არ მიხვალ და ამბავს არ ჰკითხავ?

- რამე რომ სცოდნოდა, თვითონვე გამაგებინებდა! თანაც მერიდება, ირმა სოფლის ნახირში არ გვირევია და...

- მაინც უნდა მიხვიდე და ჰკითხო! მენახირე კაცია, ტყე-ღრე ფეხქვეშ აქვს მოდებული, მაგის თვალსა და ყურს რა გამოეპარება? ჰკითხე და... თავში კეტს ხომ არ დაგკრავს, სიტყვისთვის ქირას ხომ არ მოგთხოვს! აღექი, მიდი, მიესა-ციქვლე!...

- ხმა აღარ ამომიღია, დავღუნე თავი და ელიბოს დილაბნელში კარზე მივადექი, ლოგინიდან ახლად აფუტკნულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს დავადექი. გაუკვირდა, თან მეუბნება:

- დიდი გასაჭირი რამ მოგრგებია, თორემ ვინ ანანო და ვინ იმისგან მეგობლის კარზე დილაუთენია დაჩივლებაო.

ვეხვეწე, სატკივარი მოვჭამე, თან ვპირდები, თუ რამე იცი, თუ გზას დამაყენებ, საშემოდგომოდ სამ კოდ წმინდას მოგართმევ-მეთქი.

- არაო, - მითხრა, - ბეჯითად და უტყუვრად რომ რამე ვიცოდე, სიტყვის თქმას, ვინ მამაძაღლი, დაგამაღლიდიო.

ის არის, უნუგეშო უნდა გამოვბრუნდე მეუბნება:

- გუშინ, შუადღით უკან, ნახირს ფიტავში, ლენცოფიანებში, ვაძოვებდი. მანდ კარგი, წყაროებიანი ადგილებია. ერთი-ორგან ვეძაც ამოდუღს. საქონელი ტყისპირებს არის გაბმული. უცებ თვალი მრგვალახოსკენ წამივიდა, ნაკარტოფილარისაკენ. ვხედავ, ხარირემი გამოსულა, გვერდით ფური რამ დაუყენებია და ჩლიქით კარტოფილის ნაგერლებს უთხრის. კარგად დანახვა ვერც მოვასწარი, არ ვიცი, შველი იყო, არ ვიცი - ღედოფური; ხარირემმა, ეტყობა, თოფის სუნი აიღო, მაშინვე მუხლს ჰკითხა, ის თავისი ნანდურაც თან გაიყოლა.

- ჩემი ირმა იქნებოდა, ჩემი! - ვთქვი და ელიზბარს დავემშვიდობე. - ღმერთმა გიშველოს, ელიბო, რომ იცოდე, გულიდან რა ლოდი დამხსენი.

...ქალს საგზალი უკვე გაემზადებინა. გადავიკიდე ჩემი ბერდიანკა, მეორე მხარეს - ჩინური თავაბრეშუმის ნაგრეხი ქამანდი, ვახსენე ღმერთი და ფიტავის გზას გავუდექი! სხვა რა ღონე დამრჩენია, გატყიურებული ირმა როგორმე შინ უნდა დავიბრუნო!...

- აბა, ჩემო შვილო და ძმისწულო! კაცი ამდროულა მოვყრილვარ, ლამის მთელი დედამიწა ფეხით შემიჯერებია, რა არ მინახავს, რა არ მსმენია, მაგრამ უშობლისა და ხარირმის შეწყვილება-სიყვარულის ამბავი დასიზმრებითაც არ დამსიზმრებია! არადა რა ირმას ბრალია! ისევ ჩვენ ვართ დამნაშავენი, ჩვენ! აი, ამ მგლისდასაჭმელი ხელებით მყავს ნაფერებ-ნაპატივები! თამამი გავზარდე, ლაღი, უდარდელი და თავისწვერა! თავისწვერაობამაც მეტი რა იცის! წადი ახლა და სდიე შენ ლენცოფიანებში! არადა, კაცმა გულში დანდობილად რომ ჩაიხედო, ახლა იმათი გაშორიშორება დიდი ცოდვა-ბრალიც კი არის!.. არა, ღმერთმანი, მარტო თვალი მოვკრა, გული დავაჯერო, რომ ცოცხალია, ნადირის ლუკმა არ გამხდარა და მოხდეს, რაც მოსახდენია... დღეს თუ არა, იქნებ ხვალ მაინც დავიბრუნო!..

მზე კარგა მაღლა რომ წამოვიდა, ლენცოფიანებში გავედი. ჩრდილით დაბურულ ხევში ცივი, კამკამა წყალი ჩამოჩხრიალებს. წყალი პატარაა, მაგრამ ირგვლივ ისეთ სიგრილეს აჩენს, ნამგზავრ კაცს სიცივე აგიტანს. წიფლის ზეხმელის გადმოქცეულ ტანზე ჩამოვჯექი, მინდა მუხლი შევასვენო, იქაობას გავუშინაურდე. ამ ფიქრში ვარ და ამ დროს მზის სხივებით განათებულ ტყისპირში ერთი ვეება ყელმოღერებული ხარირემი გადმოდგა, იტყვი, მზეს ეგებებაო! ხარირემს გვერდით, ოდნავ უკან, ჩემი ირმა ამოსდგომია და გრილ, ნამიან ბალახს უშფოთველად ძოვს.

- ირმა შენა და - შენი ეშმაკები! - ვამბობ გულში და ნელა-ნელა ქამანდს მხრიდან ვიხსნი. ასე სულთალევით, ხოხვა-ხოხვით ტყისპირს ქვემო მხრიდან შემოვუარე. ვიცი, ზემოდან რომ წავადგე, თოფისა და კაცის სუნს უფრო სწრაფად იკრავს, - ჰაერი ხევის მხრიდან მოძრაობს. დიყიანებში ჩამუხლული კარგად ვარჩევ ხარირემსაც და იმის ნებიერასაც. დიყი უკვე კარგად არის წამოსული, საიმედოდ მფარავს, მაგრამ ხარირემს შფოთვა მაინც ეტყობა, იმ თავის პატარა კუდს მოუსვენრად ატოკებს, ათამაშებს, ყურებსაც ხან აცქვეტს, ხან დაილაგებს. ირმამ ძოვას თავი ანება, ხარირემს მიუახლოვდა, ლამის ზედ აეკრას.? ორი-სამი ნაბიჯი კიდევ წავდგი, ვფრთხილობ, მინდა ისე ვიმოძრაო, დიყის ერთი ღეროც არ გაინძრეს. გატოკდება, შეირხევა და - მტრისას, - ტყეში შემასწრებენ, წამივლენ, გადაიკარგებიან. ხარირემი ვერ მხედავს, მაგრამ აშკარაა, ყოველ წამს კამარის შესაკრავად ემზადება. ადგილი რომ მოვინაცვლე, მუხლქვეშ დიყის ძველი, ხმელი ღერო ჩამიტყდა... ჩამიტყდა და ქორბუდამაც კამარა შეკრა! ტყისპირს მიღწეულმა, მიჯნურს მოჰხედა, დროით გამომყევიო, მაგრამ შინგაზრდილ საქონელს თავდაცვის ალღომ წამით უმტყუნა. ეს წამიერი დაყოვნება საკმარისი აღმოჩნდა, - ირმას ქამანდი ვტყორცნე! გაება, თავ-კისერზე მოვდე! მოვდე და მთელი ძალღონით დავქაჩე, ის ღონიერი, ლამაზი, ჯიშიანი კისერი ძირს დავუგრიხე. ერთხანს ასე უხმოდ ვიბრძოლეთ. ქამანდმა მაინც თავისი ქნა და ირმამ წინა მუხლებზე წამოიჩოქა. მაინც არ მეპუება, დახსნის იმედს არ კარგავს, თვალებაღქცეული ზმუის, ქშინავს, ხარირემს ეძახის...

მცირე ხანს გავჩერდი, ქამანდი მივუშვი, დაწყნარება ვაცადე. როცა წამოდგა, წამოზეზევდა, ისევ ტყეს მიჰხედა, მე თითქოს იქ არც ვარსებობდე...

- ირმა, ჩემო ირმა! - ვუყვავებ, ვეფერები, თან ხელს ვუწვდი, ლუკმას ვაჩვენებ, იქნებ ამან მაინც ოდნავ დააშოშმინოს, - წამოდი, გამიგონე, შინ წავიდეთ, შინ!...

ვატყობ, ჩემი ხმის გაგონებაც აღარ სურს, ისევ ტყისკენ მიუწევს გული, დანებებას არც ფიქრობს...

მე რომ ხელლუკმიანი მივუახლოვდი, უბრალოდ ზედაც არ შემოუხედავს, სათვალავშიც არ ჩავუგდივარ, მარტო საბრალობლად აზმუვლდა და თავ-კისრის ქნევას უმატა. მოვისაზრე და ქამანდის ბოლოები ჯაგრცხილის ზროს დავახვიე, - არაქათგაცლილს ხელიდან არ წამგლიჯოს-მეთქი.

მოლზე ჩამოვჯექი და ვუცდი, როდის დამშვიდდება, გონს როდის მოეგება! კარგახანს დავყავით ასე ჩუმად, უმოქმედოდ. როცა ლოდინი მომბეზრდა, წამოვდექი და ორ-სამ ნაბიჯზე გავუჩერდი. ჩემი მისვლა და იმისი ტანფეხიანად გადარევა ერთი იყო!

- აი, არა ქენ ეგ მაგოდენა ტანი და თავი! მაშ შენ ეს ჩვენი ცისოდენი ამაგი ქარს უნდა გაატანო? დაწყნარდი, ქრისტიანო, გონებას დაულაგდი! შინ მიმყავხარ, შინ... მაკა და მე თუ არა, დედაშენი ფიქრია მაინც აღარ გახსოვს?...

სიტყვა ვერ შევახდინე. ცოტა ხანს გაჩერდება, იტყვი, ყურს მიგდებს, რაღაცას იხსენებსო, მაგრამ მალე ისევ თავისებურად გაუტევს, დაბზრიალდება, ავარდება, დავარდება, მთელი ტანით თრთის, ცახცახებს... აიღებს თავს და ტყეს გაშმუის!..

- რაღა ვქნა, როდემდე დავრჩე ამ ყოფაში! ავხსნა ხეს ქამანდი და - ამ გავეშებული ოთხფეხის დამჭერი ვარ? თავს გამტაცებს, მეც ხე-ქვათ მომაფარებს, ხევში სადმე გადამისვრის!..

როდის, როდის, დაცხრა, ძველ უღურს მოვიდა, ახლო მისულს კი ჯერ ზედაც არ მიყურებს, ასწევს იმ თავის ლამაზ თავ-კისერს და ტყეს უბღავის. რა დიდი მიხვედრა უნდა, თავის ხარირემს უძახის...

კიდევ დიდხანს ჰქონდა ტყისკენ გული და სმენა მიყურადებული, მაგრამ როცა იქიდან შველა-დახმარების ყველა იმედი გადაეწურა, ფშვინვა-ფშვინვით წამოწვა და თავი ბალახში მორჩილად წარგო, თითქოს მანიშნა, გნებდებიო.

- აჰა, ასე არა სჯობს, ჩემო ირმა-ქალო? - წყნარად, ფერება-ფერებით ვუახლოვდები, - წამო, შინ წავიღეთ, ვინ იცის, ფიქრიას შენი მოლოდინით გული საგულეს აღარა აქვს!... წამოდი, ძველებურად არაგვის ჭალებში გატარებ;

ჭალა მოგბეგრდება და თავახოებში აგიყვან, შენს სურვილზე მეყოლები, უშენნებართვოდ ცივ ნიავს არ მოგაკარებ!...

პატარა ბავშვს რომ ეფერ–ეგურგურებიან, თავს მეც ისე დავბრუნავ, პურის მოზრდილ ნატეხს ვუწვდი. ირმამ ჯერ მუხლებზე წამოიჩოქა, მერე ტანი აიქნია და ფეხზე წამომდგარმა დანდობილად შემომხედა.

როცა დავრწმუნდი, საბოლოოდ მომენდო, ქამანდი მკლავზე ავიხვიე და წინ გამოვიგდე. ერთხანს ჩუმად, თავდახრილმა იარა, ეტყობოდა, დიდ სადარდებელს დარდობდა. გამოვიარეთ ნავენახობი, გამოვცდით პირდაპირებს; ფიტავის ხატს როგორც კი ამოვატანეთ, ირმამ თავი ლენცოფიანის ახოებისაკენ მიიბრუნა და მოგუდული, სევდიანი ხმით შეჰბღავლა... ეს იყო და - ეს!

... შინ რომ დავბრუნდით, გრილი, ხშირი ბინდი იწვა. ჭიშკართან ხელებგაშლილი მაკა შეგვეგება. ტირის, ირმას თავ-კისერზე ეხვევა, ჰკოცნის, ისევ ტირის, ცრემლებით ასველებს, თან ჩაელაპარაკება:

- მოგვიხვედ, ქალო? ხომ უჭირველი მოხვედი, ხომ არავინ რამე მოგწია, ხომ მშვიდობით ხარ, გენაცვალე?! ფეხი აღარსად გაადგა, შემოგევლე! ტყეც სოფელივით ხიფათიანია, თვალაბმული და კბილშეკრული არ გეგონოს... ხიფათი ცოცხალ საქონელს მუდამ თან დაჰყვება, როგორც ადამიანს - თავისი ნაგრილი!

- კარგი, დაწყნარდი, ქრისტიანო, ნუ გადარიე ოთხფეხი.

- რა დამაწყნარებს, ანანო, ამის დანახვას ცის გახსნასავით ველოდი!...

მერე ისევ ფერება დაუწყო:

- მოდი, მოდი, შემოგევლე, მოდი შენს შინაში!... აგერ, დედაშენი ფიქრიაც მოდის, იმასაც, ხომ იცი, ერთი სული აქვს, როდის აგლოკავს, გულს როდის დაგიხვევს...

მოვიდა ფიქრია და ირმას შორიახლო დაუდგა. ცოტა ხანს იყო ასე, მერე შვილი უხალისოდ, უწადინოდ მიყნოს-მოყნოსა და მიატოვა, უცხოსავით გაბრუნდა... ჩანს, საქონლის გუმანმა დედაშვილობა უკვე დასრულებულად ჩათვალა...

ირმა იქაობას მალე გაუშინაურდა, ეზო მიიარ-მოიარა, ცოტა ხანს ისუნსულა, თან ღობისძირებში შერჩენილ ღოლოს თუ ჭინჭრისდედის ღეროებს გულდაგულ წიწკნიდა.

... იმ ღამეს ხარირმის ყვირილმა ორ-სამჯერ გაგვაღვიძა. ბღავილის ხმა ჯერ არაგვის ჭალიდან მოვარდა, მერე - სოფლის თავიდან, მგონი, სულაც კვირიკეწმინდის ნიშის მხრიდან. ირმას თავისი გომური ერთიანად რომ არ მიენგრ-მოენგრია და საბმური არ გაეგლიჯა, ზეზე წამოვვარდი და, ეზოში გამოსულმა, ჩემი ბერდიანკა სამჯერ დავცალე. ის იყო და ის, წავიდა, დაგვშორდა, სოფლის არე-გარეს აღარ გაჰკარებია.

- ირმა? ირმამ ერთხანობას ისე იდარდა, ცოლ-ქმარს ზაფრა დაგვეცა. საჭმელი თითქმის აკრძალა, ერთს წაკმაკნიდა, კუჭს მოიტყუებდა, წამოწვებოდა და მთელ დღეს ჩვენსკენ თვალს აღარ იზამდა.

მაგრამ დრო, ხომ იცი, როგორი მკურნალია! თვე თვეს გაება და ირმასაც ძველებური ხალისი მიეცა, საჩვენოს დაბრუნდა!

ერთ დილასაც მოდის ჩემი მაკა, მოდის და სახე მოუცინის:

- შენ, ალბათ, არც იცით, - მეუბნება, - ირმამ მალე ფუჩინა უნდა მოგვიყვანოსო!

- არა, მართლა! რაზე შეატყვე, ქალო?

- როგორ თუ რაზე! მენჯები ჩაუცვივდა, ის პატარა კოკორი ცურიც საყვარლად შეუღედდა, ჩამოეზარდა...

- ღმერთო მაღალო, ვამბობ და პირჯვარს ვიწერ, - ჩვენმა ირმამ ხარირმის ბოჩოლა უნდა მოგვიყვანოს! ამას რას მოვესწარი, ხალხო!...

ვეფერებით, ვესიყვარულებით, ფიქრია ვიღას ახსოვს! კაცმა რომ თქვას, აღარც თვითონ ფიქრიას ვეპიტნავებით, ისე მიდი-მოდის, უწინდებურად ერთს აღარ შემოგვხედავს არც ჩვენ, არც დედობაში ჩამდგარ ირმას.

სოფლის ვეტექიმმა, გრიგოლა ინაშვილმა, ლამის ჩვენთან დაიდოს ბინა, ირმას გვერდიდან აღარ შორდება, - პირველაა, ვაი თუ მოგება გაუჭირდესო...

- ოღონდ ირმას მშვიდობით მორჩენას შევესწრო და ინაშვილის სახლიკაცად შეყრას რას დავეძებ! -იღიმება ჩემი მაკა.

... სწორედ მარტის რვაში მოგვიყვანა ირმამ საფურე! ისეთია, ავ თვალს არ ენახვება, ალი-კვალი დედაა, იმისი პატარობა გაგვიცოცხლდა!

- რაზე სახარეს მოიგებდა! - ვერცხლის წინა კბილებს აელვებს გრიგოლა ინაშვილი, - ძირში თუ დავახერხავდი, თორემ რქებიანს რა ქაჯი და ეშმაკი გააჩენდა?..

- არა ქენ ეგ მაგოდენა ტანი, აგრე! - პირში ებმება ჩემი მაკა, - შენც იტყვი, ვეტექიმი ვარო! როგორ არ იცი, სახარეც საფურესავით ურქო იბადება! მამალს რქები მერე და მერე ეზრდება!

- არ გადამრიო, დეიდა მაკა! - გულიანად იცინის სოფლის ვეტექიმი, - ნათქვამია, სწავლა–სიბერემდეო და მართალიც ყოფილა!

- მასხრობს, ჩემო ქალო! - ვაწყნარებ მაკას, - რასაც მაგისი ენა-პირი იტყვის, შენ ყველაფერი მართალი გგონია! დაგავიწყდა მაგისი ოფოფები?

- შენი თავი აიგდე მასხრად, შე ქოსატყუილავ შენა! - იღიმება მაკა, - მეც არა ვთქვი, იმ უმაღლესებში მართლა არაფერს ასწავლიან-მეთქი!

... ირმას პირველა, შავდრუნჩა საფურე, მუხლში მალე ჩადგა. ჩადგა თუ არა, მაშინვე მინდვრის ყვავილივით წამოვიდა; ტანს თვალდათვალ იყრიდა. ორი თვისას, წარმოიდგინე, დედის რძით სავსე ცური პირის გასასველებლადაც აღარ ჰყოფნიდა!

... ფიქრია დაგვიბერდა, მუხლი დაუმძიმდა, მზისგულებში წოლას უმატა, თანაც სულ მარტოობას რჩეობდა. მეც ავდექი და ერთ კვირა დღეს დუშეთში გადავიყვანე, ბაზრობაზე ფეხად გავყიდე. ასე ვამჯობინე, - აბა, შინ შვილივით გაზრდილს დანას როგორ დავანახვებდი, ყასაბ მინესას ჩემსავ ეზოში როგორ დავაკვლევინებდი!

კაცმა რომ თქვას, ირმას პატრონებს ნაწველს-ნადღვები თავზე საყარადაც კი გვქონდა; ჩემი მაკა სითეთრის კარის-მეზობლობაში ჩამორიგებას ხომ ვეღარ აუდიოდა! ზედაც, გავიხედოთ და, ნაადგომევის ახალ კვირაში, ირმას შავდრუნ-ჩა უშობელმა ერთი კარგი სახარე არ მოგვიგო! სახარე, სახარედ, მაგრამ...

პაპა ანანომ თითით მანიშნა, ახლოს მოჯექიო, მერე პირზე ხელი მოირკალა და ჩუმად, საიდუმლოსავით გამანდო:

- გადარევას ვიყავით - ირმას შავდრუნჩა თავისი დიდი პაპის, ქორბუდა ირმის, ჯიშზე წასულიყო, - წინა ორი თითი-დან ირმის რძეს იწველიდა, ორიდანაც - ძროხისას! ირმის რძის გარჩევას რა დიდი ცოდნა უნდა, - ფაფასავით სქელია, ყვითელი სანთლის ფერს დაიყოლებს, ძროხისა კი, შენ რა გესწავლება, თეთრია, ქაფქაფა, თან - შემრგო, მაწიერი, გემრიელზე უგემრიელესი!

ჯანცოლის სიცილ-ნათქლიები

შუმერი - ხმაურიან ერს ნიშნავს, შუმ-ერი! გაიგეთ ხალხნო, საქართველო მსოფლიოს დედაა. მსოფლიო საქართველოდან იწყება, თვით ამერიკა ქართული წარმოშობისაა, იგი ამერ-იმერიდან მოდის, საქართველო ძველთაგანვე ამერიკიდან და იმერიკიდან შედგებოდა, მაშ ასე, წავიდაააა...

ჰელიოსი - ქართული წარმოშობის სიტყვაა, მზეს ნიშნავს იგი და შემხები წერტილი არა აქვს ბერძნულთან, გაუმარჯოს საქართვ—ჰელიოსს, ესე იგი - მზიურ საქართველოს - საქართვ-ჰელიოსს.

საქართველო - საიდან მოდის სიტყვა საქართველო? როცა ქვეყანას არც არაფერი ერქვა და საერთოდ, როცა მიწას სოფლის მეურნეობის კულტურა არ გააჩნდა, ხალხი ტყეში გადიოდა, რათა საკვებად მოეტანათ პანტა, მაყვალი, მარწყვი, სოკო, ჭინჭარი, ტყემალი. ერთ წელს, მთელ მსოფლიოში, ყველახე დიდი მოსავალი სოკოსი ამ მიწაზე მოსულა, ასე, რომ იმდროინდელ სოკოს რთველს, გადაურჩენია ქვეყანა, რომლისთვისაც სოკოს დიდი რთველის გამო, სოკო-რთველო დაურქმევიათ, დიახ, ასეა ეს საქართველო-სოკოს-რთველო.

გენიოსი - გენიოსი ქართული სიტყვაა და ოსური წარმოშობის გენს ნიშნავს, ქართულად იგი ასე ჟღერს: გენი-ოსი, ოსის გენი, ოსის გენია ეინშტეინი, ჩარლი ჩაპლინი, სტალინი და ნაპოლეონი.

ოსტანკინო- ოსების დასახლება გახლავთ.

ოსმალო- გახლავთ ოსი, რომელიც ჩქარობს ოს-მალო.

შუმერი - ქართული წარმოშობის სიტყვაა და ხმარიან ერს ნიშნავს, შუმნი ერი, შუმი თავად შუმერულში ხმაურიანს ნიშნავს, გურულად შუმი შეურაცხადს ნიშნავს.

ზაგარი - ძველ ქართულში, ისე, როგორ შუმერში - შავს ნიშნავდა, შემდეგ შავმა ქართველებმა დაირქვეს ზაგარი, ზანგ-არი, ესე იგი, შავია, ზანგი არისო.

ნეგრი - ნეგრი და მეგრიც ერთია, ქართული წარმოშობის ზანგებს მეგრებმა, ანუ მეგრელებმა ნეგრი დაარქვეს.

ბოგ - ქართული წარმოშობის სიტყვაა და ბოგანოს ნიშნავს, ღარიბს, მაგრამ სულით მდიდარს, შემდეგ, რუსებმა "ბოგ" წაიღეს და სიტყვა ბოგატიც დააწესეს, რაც მდიდარს ნიშნავს.

რუსეთი - ფრიად საინტერესოა, რუსეთს რა საერთო აქვს რუსულთან? - არავითარი. ჩვენს პატარა მიწას ვუვლიდით, ჩვენ მაშინ რუსავით პატარა ვიყავით, ხოლო იქეთა - მეორე მხარე, მდინარესავით დიდი იყო, ისინი დაჟინებით ითხოვდნენ ჩვენთან შეერთებას, ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევდით, ხალხი კი გაოცებული ამბობდა, შეხედეთ, მდინარე რუს ერთვისო, "რუს ერთვის", შეგვიერთდნენ თუ არა, იმ მხარეს დაერქვა რუსეთი.

ესპანეთი - დრო იყო იგი საქართველოს ეკუთვნოდა, საქართველოს ჰქონდა კუთხე, რომელიც მსოფლიოს დესპანებს უმზადებდა, ამ ადგილას დესპანეთი ერქვა, შემდგომ "დ" დაიკარგა და დაგვრჩა ესპანეთი.

ხარკოვი - ქართული წარმოშობისაა, ჩვენი მეხარკეები გახლდნენ, ადგილს, სადაც საქართველოს მეხარკეები ცხოვრობდნენ, ხარკოვი ერქვა.

სევანი - საქართველოს უძველეს მიწაზე, სადაც ერთ დროს, სვანები ცხოვრობდნენ არ იყო წყლის ნატამალი, სვანებმა დაიწყეს გათხრა მიწისა, მიწიდან წყალმა ამოხეთქა, წყალი დადგა და ბოლოს, ტბად გადაიქცა, ხოლო ტბას ხალხმა სვანი უწოდა, დღევანდელი სევანი - სვანიდან მოდის.

ლიმონათი - რა თქმა უნდა, ქართულია, ათი ლიმონიდან გამოწურული წვენი გახლავთ. სითხეს, რომელიც ათი ლიმონიდანაა გამოწურული ლიმონათია. ადრე, ერთი ლიმონიდან გამოსწურავდნენ ხოლმე და ლიმონ-ერთი ერქვა, შემდეგ, ავედით ლიმონ-ათამდე.

სლივა - ძველ ქართულ-შუმერულში ქლივა ერქვა, შემდეგ სლიავი, რაც ქლიავად გადაკეთდა, ხოლო - შეკვეცილი სლიავი, ანუ სლივა, რუსმა წაიღო.

ყაზახი - იყო ადგილი შუა აზიაში, სადაც გურული რაინდი ცხენოსნები ცხოვრობდნენ, - "კაი ყაძახები" სწორედ ამ ცხენოსანი გურული ყაძახების გამო დაერქვა ადგილს - "ყაზახეთი".

გრუზინ - მძიმე ტვირთიანს ნიშნავს შუმერულად.

ბარდაგი - ბადაგიდან მოდის, ტკბილი, სასიამოვნო.

აბორტი - გემის ბორტია აფხაზურად - ა ბორტი.

აკუა - ქალაქია აფხაზურად.

აფსუა - ქვეყანაა აფხაზურად.

აჯუა - აჯიკაას ერქვა ძველქართულში.

აფსუა, აკუა, აჯუა - სამივე ქართულ შუმერულია

როსკიპი - ქართულიდან მოდის, ძველქართულში რუსკიპი გახლდათ, ანუ რუსი, რომელიც დუღდა (კიპიტ).

არაბი - არაბია, კაცი, რომელსაც არ აბია, ანუ, არავინ არაა, არა კომში, არა ბია.

გალსტუკი - გალიდან ჩამოსული "სტუკაჩი" გალ-სტუკი.

შარვალი - შარ-ვალი, ძველშუმერულ-ქართულია. ვალი რომ გაქვს და შარზე ხარ - შარ-ვალი.

ლეიბი - შუმერულად "ლე" მამაკაცის ორგანოა, "იბი" - შუმერულად ქმნას ნიშნავს, ლეიბი - ქმნის ადგილი.

ცოლიკაური - უსახელო ვაზის ძირში ახალდაქორწინებულმა ქმარმა ცოლი კაურით წააქცია,

შემდგომ, იმ უსახელო ვაზის ჯიშს - "ცოლიკაური დაერქვა".

კლეოპატრა - ანუ შუმერულ-ქართული მოფერებით კუტუ, ჭუჭუა, ის რაც პატარაა - "კლეოპატრა".

აკრობატი - ძველქართულში აკროინდაურს ეძახდნენ. არ გაამართლა და დღეს უკვე აკრობატია.

კვარტირა - კვარტიდანაა, ოთხოთახიანი ბინა.

სახარ- შაქარზე წასულ გურულს ეტყოდნენ, სა ხარ, ბიჭო, ამდენ ხანს, სა ხარო.

ეთიკეტი - ძველი ქართულია ერთი კეტი, როცა ორი კეტის ჩარტყმა გეკრძალება და უფლება გაქვს მხოლოდ ერთი კეტისა.

კორინთა - ქართულ-შუმერულია, კორინთა, ანუ ორი მთა, ორ მთას შორის მოთავსებულ სოფელს კორინთა ერქვა. აქედანაა გვარი კორინთელი.

არწივი - ფრინველი, რომელიც არ წივის.

პენსიონერი - პენსიაზე გასული ერი.

ეროვნული - ერი ნულზე დასული.

გოლიათი - ათი გატანილი გოლი.

დეგენერატი - გენერატორი, რომელიც დეფორმირებულია, დეგენერატი - დეგენერატორი.

პოლიგამია - ბერძნულად მრავალცოლიანობას ნიშნავს - ცოლიგამიადან მოდის, - ცოლგაშვებული.

მოსკვა - ძველქართული მეგრული გახლავთ. მოი სკუა, მოდი შვილო, მოი სკუა - მოდი შვილო, მოი სკუა - მოსკვა.

პურპურნი - შემხები წერტილი არა აქვს რუსულთან, ქართული სიტყვა გახლავთ, ძველად, საქართველოში, პურს გავარვარებულ ნაკვერცხალზე აცხობდნენ, წითელ ნაკვერცხალზე, ერთად ცხვებოდა ორორი პური და წითლად იბრაწებოდა, დიახ, ორი, ერთად შებრაწული პური - "პურპურნი" გახლდათ.

"პიდარასტი" - ძველქართულია, პირში მთქმელი გამარჯობისა - "პირიდან ზდრასტი".

არშიყობა - ესეც შუმერულ-ქართულია, არშეყოფას ნიშნავს, ყველაფრის გაკეთებას, ოღონდ, არ შეყოფას.

ვარიანტი - ქართული სიტყვაა, ცხვარიანტს ნიშნავს, როცა "ჩაქაფულის" ან ცხვრის მწვადების საჭმელად მიდიან.

სირი - ძველქართულში ჩიტია, დღეს, ხშირად იტყვიან, შე გამოსირებულოო, ესე იგი, ახლადწამოჩიტებულო, თინეიჯერზე ამას ვერ იტყვიან, ისინი შემდგომ პერიოდს მიეკუთვნებიან.

პროფკავშირი - პროფანების კავშირი შუმერულად.

კომუნისტი - კამუ ნისტი - ვის მივუტანოთ - ქრთამთან დაკავშირებული შუმერული სიტყვაა.

შენ მოგიტან - გინებაა შუმერულად.

მინისტრი - შუმერულ-ქართულია და მინისტარიდან უნდა მოდიოდეს, მინისტრი - მინისტარი.

რეფორმატორი - შუმერულად დეფორმატორს ნიშნავს, დეფორმირებული მატორი - დეფორმირებული ძრავა.

"სირტაკი" - ორი ქართული სიტყვისაგან შესდგება - სირისაგან და ტაკისაგან, ორივე მოფერებითი სიტყვაა.

თვითმმართველობა - კაცი, რომელიც თავისთავს მართავს.

ნაციონალურია - ნაციონალისტი ებრაელი, ნაციონალ-ურია.

საქართველო- (მეორე ვარიანტი) როგორც პოეტი ზაურ ბოლქვაძე ამბობდა, სიტყვა საქართველო - საქრთამრთველოდან მოდის, კორუფციასთან კავშირის გამო.

აფერისტი - გურული სიტყვაა და აფერს - ანუ არაფრის გამკეთებელს ნიშნავს - აფერი-სტი.

არაფატი - შუმერულად არაფატ - არაფრადს ნიშნავს, კაცი, რომელიც არაფრად არ ვარგა.

კურიერი - ძველქართულად - კურიოზული ერი.

დისკრედიტირება - დისაგან წაღებული კრედიტები.

ფილოსოფია - შუმერულად სპილოს ოფლს ნიშნავდა, "სპილოს ოფლი აქვს", - ფილოსოფია.

პარლამენტი - ძველ ქართულში სალაყბოს ნიშნავდა - ახალშიც ასეა.

კროჭი - გვარი გახლდათ იმერეთში, უკანალთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ნარკომანი - რუსულია და ასე იშიფრება, "ნაროდნი კომისარ მანიაკ" ნარ-კო-მან.

არიფონი - ონელი არიფი - არიფი მეგობარია ძველქართულად.

უპირატესობა - ზე პირატს ნიშნავს შუმერულად - უპირატესი - პირატზე მეტი.

ბახმარო - მთა, სადაც მაროს ესროლეს და მოკლეს შეძახილით - "ბახ, მარო".

ლისტი - ფოთოლია შუმერულად, ისე კი კომპოზიტორი.

სინტაქსი - ტაქსის შვილი - სინ ტაქსი - შუმერულად.

მაიმუნი - მაი მუნ, მაი მუნი, ჩემი მთვარეა ინგლისურად, ასე იყო შუმერულადაც.

ნაცმენი - ნაციონალური მენიუ - ხაჭაპური, საცივი, ხაში, ლობიანი, შემწვარი გოჭი, ჩაქაფული. არავითარი კავშირი არა აქვს კამოს მენიუსთან.

კომპარტია - კომიკური პარტია - ასეა შუმერულად.

ბედნიერი - საცოდავი, ღარიბი, ბედნი ერი, შუმერულად.

ჭანჭური - ქლიავზე პატარა ხილი, რომლისგანაც ჭანები არაყსა ხდიდნენ და ჭურში ასხამდნენ, ამ პატარა ზომის ხილს სახელი არა ჰქონდა, ჭანებმა ჭანური ჭურის სახელი უწოდეს "ჭანჭური".

მხედრიონელი - ონელი მხედარი.

იმიტაცია - იმის ტაცია, ამის ტაცია, რაც ადამიანს, ორიგინალური აქვს- იმის ტაცია. იმის მიმტაცებელი.



ირაკლი სუთიძე

1954 დაიბადა. ზესტაფონში
1981 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ძირითადი გამოფენები:

1980 წლიდან ყველა რესპუბლიკური და საკავშირო გამოფენა
1987 ახალგაზრდა მხატვრების გამოფენა მოსკოვი, (კუზნეცკი მოსტი)
1990-93 ჰანოვერი
1991 პერსონალური თბილისის „მხატვრის სახლი“
1991 პარიზის „ქართული სახლი“
1991 „ქართული ხელოვნება“ ბელგია
1994 გალერეა „ორიენტი“ გალერეა TMS
1995 გალერეა TMS თბილისი
1996 ოთხი მხატვარი, კიოლნი
1997 ორი მხატვარი, პარიზი

ნამუშევრები ინახება:
თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, საქართველოს, რუსეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ავსტრიის, გერმანიის, აშშ, ჰაიტის, ჰოლანდიის, ინგლისის, ჰონგ-კონგის, თურქეთის, საბერძნეთის, ესპანეთის, კორეის კერძო კოლექციებში.

1994-96 მონაწილეობდა საერთაშორისო საშობაო ფესტივალებში (პრიზი საუკ.ფერწერული ნამუშევრისათვის
1986 დაჯილდოვებულია საქართველოს მხატვართა კავშირის პრიზით საუკეთესო ნამუშევრისათვის





„განქორწინება ამერიკულად

„მე, ივანა ტრამპი ვაცხადებ, რომ განქორწინება დონალდ ტრამპთან გადაწყვეტილია. ღმერთმა იცის, რომ მე ის მიყვარდა და მთელი ეს წლები მისი ერთგული ვიყავი. მაგრამ მან მომატყუა და მე არ მსურს, მოვითმინო ეს დამცირება".

არც თუ ისე ახალგაზრდა ქალი განსაკუთრებული ყურადღებით კითხულობს ტექსტის ყოველ სიტყვას. ფიქრის შემდეგ კი ამატებს ერთ სტრიქონს: "ჩემთვის ძვირფასია ერთად გატარებული წლები, მაგრამ უფრო ძვირფასია საკუთარი თავის პატივისცემა..." აღნიშნავს რიცხვს და აწერს ხელს. შემდეგ კი მიუბრუნდება პრეს-მდივან ლიზას, სიმპათიურ ახალგაზრდა გოგონას: "იქნებ დავამატო რაიმე ბიზნესის შესახებ? რომ მე ვეხმარებოდი..." მაგრამ ჩაფიქრდა და დასძენს: „არა, არ არის საჭირო. მე ახლა სულ არ მჭირდება მეწვრილმანე ქალის რეპუტაცია". ამასთან უცნობია ასეთი ფრაზები როგორ აისახება დონალდის აქციების კურსზე - მათ შორის თქვენს წილ ქონებაზე" - ფრთხილად შენიშნავს ლიზა. "მართალია, - ეთანხმება ივანა, - მე მგონი ეს საკმარისია. ყველაფერი მკაფიო და გასაგებია. წაიღე ეს „ნიუ-იორკ ტაიმსში", „გერალდ ტრიბუნში", „ტაიმსში". აკეთებს პაუზას და უმატებს: „ჩვენ კიდევ ვნახავთ ვისი აჯობებს".

ლიზი ჩქაროსნული ლიფტით ეშვება. მაღლა კი, უზარმაზარ სამსართულიან აპარტამენტებში ზის ამ სახლის დიასახლისი და გაყინული მზერით მისჩერებია კარებს. მალე ყველა ყველაფერს გაიგებს. ცნობილი წყვილი - ყოფილი ფოტომოდელი და წარმატებული მილიარდელი - განქორწინებას აპირებენ. მალე აჭრელდება ჟურნალ-გაზეთები, რეპორტიორები უცებ დაწერენ შხამიან სტატიებს.

ლიზამ ისაა უნდა დაძრას მანქანა, რომ ამ დროს სასახლის ზედა სართულზე ისმის ხმაური... მჭიდროდ დახურული კარების მიღმა ივანა ტრამპი არბევს თავის სასტუმრო ოთახს. მკაცრი, საქმიანი ქალი აკურატული ვარცხნილობით, უცებ იქცა გააფთრებულ როკაპად. მან ხელი დაავლო ლარნაკს (ეტრუსკები, ხელითნაკეთი, ნაყიდი სოთბის აუქციონზე) და შეახეთქა კედელს (755 ათასი დოლარი!), ნამსხვრევებად აქცია წითელი ხის ყვავილების სადგარი. მიზანში ნასროლი პლატინის საფერფლე ხვევს მატისის ეტიუდს. ბაგეებს, როგორც წყევლა, ისე სწყდება სხვადასხვა სახელები.

კეტრინ ოქსენბერგი - ეს ძუკნა „დინასტიიდან" (მეორე სართულიდან ვარდება ტყავის პუფი!) კეროლ ალტი, თმაგაწეწილი მოდელი (იატაკზე ენარცხება ჰავანური სიგარების ჩასაწყობი)! პეგი ფლემინგი, ჩემპიონი ფიგურულ სრიალში (მას ეწირება კედელზე დაკიდებული პეპლების კოლექცია)! დიზაინერები, მსახიობები, სხვისი ცოლები - და ეს მარლა, წყეული მარლა!

ოთახი გაყრუვდა იმ ქალის მოთქმით, რომელიც არასდროს ტიროდა. ქალი, რომელიც თავის ბედნიერებას წლების მანძილზე გეგმავდა, აშენებდა, ფლირტაობდა, - ბოლოსდაბოლოს „შეაბა" დონალდ ტრამპი - ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მამაკაცი! ივანას ჰქონდა ყველაფერი... არა ერთი სახლი: ვილა გრინვიჩში, ცალკე სახლი მარ-ა-ლაგოში, ეს ბინა ორმოცდაათი ოთახით. საკუთარი ვერტმფრენი, თვითმფრინავი „ბოინგ-727", ყველაზე დიდი იახტა მსოფლიოში, რომელიც შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში. შვილები, ოჯახური გასავლები, მილიონები, საკუთარი საქმე, ელიტარული შეხვედრები, სტატიები, დიდება - ყველაფერი!

და ახლა რა? განქორწინება, სასამართლო, ჭორები, ზურგს უკან ჩურჩული... ის მძიმედ დგება და ზურგით ეყრდნობა კედელს. ბუტბუტებს, თითქოს მუქარით...

და უცებ მის შინაგან მონოლოგში იჭრება რაღაც უცხო ხმა. ის მშობლიურ ჩეხურ ენაზე ლაპარაკობს და არც თუ სასიამოვნოდ". "ეს ხომ უსამართლობაა, ძვირფასო, შენ ხომ თვითონ ხარ დამნაშავე. თქვენ გქონდათ შეთანხმება, მარტივი და პატიოსანი გარიგება: ის გაძლევს ფულს, სოციალურ მდგომარეობას, დიდებას, შენ კი არ ერევი მის ცხოვრებაში. ასე არ არის?" ივანა ცრემლებს იწმენდს და ჩურჩულებს: "არა", მაგრამ ეს "არა" ეღერს არადამაჯერებლად. წარსულის ქექვა მას ნამდვილად არ სურს.

... ნიუ-იორკის ძვირფას რესტორან "ელ ბაუდში" პუბლიკა მაგიდაზე ჩანგლებს აკაკუნებდა: იმართებოდა სატაცურის ფესტივალი. საზეიმოდ განწყობილი ცნობილი იურისტები, ტელეწამყვანები და მოდელები გემრიელად ილუკმებოდნენ "კრიკოთი" შეზავებული სოუსით და ორთქლზე მომზადებული თეთრი სატაცურით. მაგრამ საზოგადოების მზერა დარბაზის ბოლოსკენ იყო მიმართული, სადაც განცალკევებულ, ყველაზე პრესტი-

ქულ მაგიდასთან იჯდა დონალდ ტრამპი, ცნობილი მილიონერი. მის გვერდით კი შამპანურის ბოკალით ხელში ახალგაზრდა, მკვეთრად შეღებილი პლატინისებური ქერა ლამაზმანი. ქალები შურით ჩურჩულებდნენ, „თითქოს ვულგარულია, არა? პომადა თვალებს ჭრის, ლაქი კი...“ - „საინტერესოა, მას ნატურალური თმები აქვს?“ - „რას ამბობ! მასში ნატურალური მხოლოდ ტვინია“.

ხალხი ჩურჩულებს, მაგრამ ვერც კი ხვდება, როგორი სერიოზული ლაპარაკია მათ შორის. - ამ ორი თვის მანძილზე, რაც ერთმანეთს ვიცნობთ, მე მივხვდი, - მჭევრმეტყველებდა ტრამპი, - რომ ზუსტად ის გოგონა ხართ, რომელიც მე მჭირდება. თქვენ ხართ მიზანდასახული, ჭკვიანი, გაქვთ იუმორის გრძნობა. მე ვიცი თქვენ იქნებით საიმედო ცოლი და ჩემი შვილების საუკეთესო დედა. მე მჭირდება ოჯახი, ივანა, გესმით ჩემი?ივანა აფახულებს თვალებს და მეტისმეტად ხმამაღლა იცინის: - რას ამბობთ, დონალდ, როგორ შემიძლია ასე მალე გიპასუხოთ? მე ხომ თქვენ სრულებით არ გიცნობთ.

ეს თავხედური, დაუფარავი ტყუილია. ივანას პატარა ჩანთაში ბლოკნოტი დევს. მის პირველ გვერდზე მკაფიო ასოებითაა გამოყვანილი: „დონალდ ტრამპი. რა ვიცი მის შესახებ“. შეიძლება ივანა ვულგარულია და სულაც არ არის მაღალი წრის ქალბატონების მსგავსი, მაგრამ სულელი რომ არ არის, ეს ფაქტია. ის არ შეხვდებოდა ისეთ მამაკაცს, რომლის შესახებაც არაფერი იცოდა.

მათი პირველი შეხვედრა ერთ-ერთ პოპულარულ რესტორანში მოხდა. იქ შესვლა შეუძლებელი იყო. მოულოდნელად მასთან ოფიციანტი მივიდა და ძალდატანებით უთხრა: „თქვენ დაგპატიჟეს იმ ჯენტლმენის წყალობით“. მეზობელ მაგიდასთან იჯდა საკმაოდ მიმზიდველი მამაკაცი. აღელვებული ივანა მისკენ მიბრუნდა და აშკარა დამცინავი კილოთი წარმოთქვა „გმადლობთ“. ტრამპი თითქოს დაიბნა...

მეორე დღეს ივანას ოთახის კართან იდგა შიკრიკი ყვავილების უზარმაზარი კალათით, რომელზეც მიმაგრებული იყო ლამაზი ბარათი ფილიგრანული წარწერით “დონალდ ტრამპი“. „ვინ არის ის? როგორ გაიგო სად ვცხოვრობ?“ - იკითხა ივანამ. შიკრიკმა მხრები აიჩეჩა და ამით გამოხატა, რომ ნიუ-იორკში ნებისმიერის პოვნა შეიძლება, თუ სურვილი გექნება. რაც შეეხება იმას, თუ ვინ არის ტრამპი, - აქ მან ისე შეხედა ივანას, თითქოს ის კენედის ვინაობით დაინტერესდა, - მას ჩვენთან ყველა იცნობს.

ივანასთვის შეიძლებოდა ამ უმეცრების პატიება - ის ხომ სულ ახლახან ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიიდან.

ტრამპების გვარი ნიუ-იორკში მართლაც რომ ყველასთვის ცნობილია. დონალდის მამა პატარა რესტორნის მფლობელის ოჯახში დაიბადა. იგი იყო დურგალიც, ინჟინერიც, არქიტექტორიც და ყველაფერს აკეთებდა, რომ თავისი მომავალი შეექმნა. ამისთვის არც ისე ცუდად გაისარჯა “დიდი“ დეპრესიის დროს, სიმართლით თუ ტყუილით მოახერხა სახელმწიფოსთვის დაეტყუებინა თანხები სახლების ასაშენებლად. დონალდი უკვე მდიდარი დაიბადა, მაგრამ მამა მას ტყუილუბრალოდ ერთ ცენტსაც არ აძლევდა. ასეთი იყო მისი პრინციპი - ყოველი დოლარი ცხოვრებას კბილით უნდა გამოგლიჯო.

და დონალდი ცდილობდა, როგორც შეეძლო. დაამთავრა სამხედრო აკადემია (ეს მამის ახირება იყო, რომ შვილს გაეგო რა არის დისციპლინა), სწავლობდა ბიზნესს, გამოიცვალა რამდენიმე პრესტიჟული უნივერსიტეტი და ბოლოს თავისი თავი უძრავი ქონებით ვაჭრობაში იპოვა. მან შეიძინა ერთი ჩამკვდარი დასახლება თითქმის უფასოდ, მამისგან კრედიტით აიღო ექვსი მილიონი, გააკეთა გზები, მოაწესრიგა ინფრასტრუქტურა, განაახლა სახლები - და გამოვიდა მშვენიერი ქალაქგარეთა დაბა. სახლები უმალ გაიყიდა. ექვსი მილიონი ერთი ხელის მოსმით გაორმაგდა. მეწარმის აქციების ფასი უცებ გაიზარდა. ტრამპი დამკვიდრდა ნიუ-იორკში და დაიწყო უძრავი ქონების შესყიდვა, შეიძინა საჭირო კავშირები. “ტრამპი“ და “საუკეთესო უძრავი ქონება“ უფრო ხშირად ისმოდა ერთ კონტექსტში. მისი შემოსავალი იზრდებოდა ელვისებური სისწრაფით.

ყველა ეს წვრილმანი ივანამ გამოარკვია რამდენიმე დღით ადრე. გაიგო, როგორი რეპუტაცია აქვს ტრამპს (ჭეშმარიტი ლიდერი, მაგრამ არა ყველაზე გალანტური კავალერი), რომ მასზე წერენ (მხოლოდ საქებარ სტატიებს) და დაახლოებით რამდენადაა შეფასებული (თანხა შთამბეჭდავია!) ამაზე ღირდა დაფიქრება!

ივანა ნიუ-იორკში საქმეებზე ჩამოვიდა, მონრეალში კი მას საყვარელი ადამიანი ელოდებოდა, რომლის წყალობითაც ივანა ასეთ მშვენიერ სამყაროში მოხვდა. მას გეორგი ერქვა, ჩეხი იყო. ჰქონდა პატარა, მაგრამ პოპულარული მაღაზია, სადაც სათხილამურო ინვენტარი იყიდებოდა. ეს დიდი ხნის სიყვარული იყო, ლამის სკოლის მერხიდან, სიყვარული, რომელმაც გადალახა ორი საზღვარი - ჩეხური და ავსტრიული, სადაც ივანამ გააფორმა ფიქტიური ქორწინება, რომ ჩეხოსლოვაკიიდან წასულიყო.ისინი ხვდებოდნენ, შორდებოდნენ, ჩხუბობდნენ, რიგდებოდნენ და ახლა, როცა ყველაფერი თითქოს წარსულს ჩაბარდა, - გამოჩნდა ტრამპი...



კანადაში ჩამოსვლისას ივანა სამუშაოდ მოეწყო სამოდელო აკადემიაში და წარმატებითაც. მას ჰქონდა ყველაფერი, რაც საჭირო იყო მოდელის კარიერისთვის: მოხდენილი სპორტული ტანი, ღიმილი ჩაწიკწიკებული კბილებით და მუშაობის დიდი სურვილი. დონალდი დროს ტყუილად არ კარგავდა. ცდილობდა რაც შეიძლება მეტი გაეგო მის ცხოვრებაზე. მან დაურეკა სააგენტოს მეპატრონეს და კარგა ხანს ისმენდა მისგან ივანას ქებას. რატომაც არა, ივანა მისთვის ყველაზე სარფიანი შენაძენი იყო, ტრამპი შეეცადა გაეგო ივანას წარსულიც, მაგრამ ჯერ უნდა ესწავლა სიტყვა „ჩე-ხო-სლო-ვა-კია“ და რუკაზე მოეძებნა ეს სასწაული. ბატა, სადაც ივანა დაიბადა, რუკაზე არ ჩანდა. ბატა ცნობილია მხოლოდ ჩეხებისთვის, შეიძლება კიდევ რუსებისა და პოლონელებისათვის, ისიც იმიტომ, რომ იქ კერავდნენ იაფფასიან, მაგრამ ხარისხიან ფეხსაცმელებს. ივანას მამა ცნობილი სპორტსმენი იყო (ჩემპიონი ცურვაში). ივანამ კი აირჩია სამთო-სათხილამურო სპორტი და ექვსი წლისა უკვე შეჯიბრებებში იმარჯვებდა. თხილამურების გარდა მას არაფერი აინტერესებდა. სპორტმა შესძინა გოგონას ის თვისებები, რომლებიც შემდეგ ცხოვრებაში გამოადგა: მიზანდასახულობა, სიმტკიცე და აბსოლუტური უშიშროება.

მას შეუყვარდა მოთხილამურე გეორგი, ის კანადაში გაემგზავრა, ივანაც მის კვალს გაჰყვა... აი, ყველაფერი ის, რისი გაგებაც დონალდმა მოახერხა და საკმაოდ კარგად გამოიყენა. ერთხელაც ივანას ჩეხურად მიესალმა. შემდეგ პრესტიჟულ სამთო-სათხილამურო კურორტზე დაპატიჟა. ტრამპი არასდროს მდგარა თხილამურებზე. ამიტომ მოუხდა რამდენიმე დღით ადრე დაჩქარებული სწავლების კურსი გაევლო. რასაკვირველია, ივანა მიხვდა: თვითონაც ხომ ასე მოიქცეოდა. მყუდრო რესტორანში „გლინტვეინის“ წრუპვით დონალდი კვლავ აყალიბებდა თავი მოსაზრებებს: რომ ივანამ მოაჯადოვა და არავინ მოსწონს მასავით, რომ სჭირდებოდა ოჯახი... ივანა აღარ იცინოდა. ის საკუთარ თავს უსმენდა.

საოცარია, მას უყვარდა გეორგი და არც უფიქრია მისთვის ეღალატა. მაგრამ გეორგმა ვერ გაიგო ერთი უბრალო რამ: ივანა ოცნებობდა თავის სახლზე, ოჯახზე - რაზეც ასე დაბეჯითებით ელაპარაკებოდა დონალდი ბოლო თვეებში. ივანა ელოდებოდა საყვარელი ადამიანისაგან სანუკვარ სიტყვებს, მაგრამ გეორგი არ ჩქარობდა. ივანამ წაუყენა ულტიმატუმი. გეორგმა წაილუღლუღა, რომ მზად არ არის ამისთვის, თუმცა ივანა ძალიან უყვარს... ქალმა დატოვა სახლი, სადაც ბედნიერი იყო.ის თავს განადგურებულად გრძნობდა ამ განშორების გამო, მაგრამ გადაწყვეტილება უკვე მიიღო.

აეროპორტში ივანას ლიმუზინი ხვდება. ტრამპი არც კი ჩანს უზარმაზარი თაიგულის უკან. ივანასთვის არის განკუთვნილი მთავარი საჩუქარიც: არარეალური ზომის ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი. იმ მწირი ინფორმაციიდან, რომელსაც დონალდი ივანას შესახებ ფლობდა, მიხვდა ერთ რამეს: ივანას ყველაფერი უყვარდა მკვეთრი და მბრწყინავი. ამ ბრილიანტით დონალდმა მიზანში მოარტყა: ყოფილი მოთხილამურის გული დაიპყრო.

და იყო ქორწილი: ეკლესია მორთეს ათასი შროშანით. პატარა გოგონებმა ნეფეპატარძალს უამრავი ბრინჯი და ვარდის ფურცლები დააყარეს.

ვიდრე ივანა მის წინადადებას მიიღებდა, დონალდმა გადაწყვიტა გულწრფელად დალაპარაკებოდა. მოუთხრო თავისი გეგმების შესახებ, მკაფიოდ გამოსახა რისი მიღწევა უნდა. აუხსნა, რა მდგომარეობა აქვს საზოგადოებაში, რომ მისი ცხოვრება დატვირთულია სხვადასხვა მოვლენებით და სჯობს ივანამ არაფერი იცოდეს ამის შესახებ. მათი საუბარი ნაკლებად ჰგავდა ორი მტრედის ჟღურტულს, უფრო სერიოზული მოლაპარაკება იყო. ძირითადი პუნქტები მათთვის ცნობილია: დონალდს უნდოდა დაქორწინება, ივანა ოცნებობდა სტაბილურობაზე, მათ მოსწონდათ ერთმანეთი და ერთად კარგად გრძნობდნენ თავს. რას სთავაზობდა საცოლეს ტრამპი და რას ელოდა მისგან - უსიტყვოდაც გასაგები იყო. ჭკვიან ხალხს ყოველთვის შეუძლიათ საერთო ენის გამონახვა.

... მაშ რა ხდება ახლა? რატომ ტირის საძინებელში იატაკზე დამხობილი მეუღლის ლოჟის გვერდით?

არა, მას საყვედურს ვერავინ ეტყვის. ის არ დასდევდა მამაკაცებს, ზრდიდა შვილებს და ვერავინ იტყვის, რომ ისინი შეარცხვენენ იმ კლანს, რომლის წევრიც მოულოდნელად გახდა ივანა. ბავშვები იყო მისი ერთადერთი სიამაყე!

ის იყო ქმრის საყრდენი, ეხმარებოდა ყველაფერში. ღმერთო, რამდენი „საჭირო ხალხის“ გაცნობა მოუხდა! რამდენ ბიზნესმენს უღიმოდა ალერსიანად! ეს ბანქოს პარტიები? შეხვედრები მერიაში? წვეულებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იახტაზე,რომელსაც ამდენი ენერგია და ფული მიჰქონდა (წელიწადში სამი მილიონი მხოლოდ მომსახურების).

განა ივანა თვალს არ ხუჭავდა ქმრის ინტრიგებზე? ყველა ეს მსახიობები, სპორტსმენები, მოდელები... მისი სასტუმროს დიზაინერი? ეს განსაკუთრებით საწყენი იყო, რადგან ყველა ბინის უჩინარი დეკორატორი ივანა იყო. მართალია, გაზეთებში ამის თაობაზე ჩნდებოდა ხოლმე გესლიანი ფრაზები, რომ აბსოლუტურად უგემოვნო ქალი ცდილობს გააფორმოს გრანდიოზული აპარტამენტები. მათ ბინებში მაშინვე მიხვდებოდით რამდენი და რისთვის დაიხარჯა. და რა? დონალდი ქირაობს ვიღაც გომბიოს, რომელმაც ინტერიერზე უნდა იზრუნოს, სადამოს კი მას ლოგინში იწვენს.

ივანას ეგონა, რომ დონალდი არასდროს მიატოვებდა, მაგრამ გამოჩნდა ეს მარლა და ყველაფერი უკან-უკან წავიდა.

მარლა მეიპსი. სანდომიანი გოგონა, უიღბლო მოდელი... დონალდ ტრამპის მორიგი გატაცება, ივანაზე გაცილებით ახალგაზრდა ქალი, რომელიც მისი გააქტიურების მიზეზი გახდა. გარკვეული პერიოდის მერე მსოფლიო გაოგნდა: გამოჩნდა სულ სხვა ივანა - ნაოჭები თითქოს არც ყოფილა, წვეტიანი ცხვირი, გაშლილი თმები... სად გაქრა მისი ადრინდელი მტაცებლური მაკიაჟი? გაზეთები ერთმანეთს არ აცდიდნენ გაერკვიათ, რა ჯდებოდა ამჟამად პლასტიკური ქირურგია, ივანას პრეს-მდივანი კი დაზეპირებულ ტექსტს იმეორებდა: „რას ამბობს, რა ოპერაცია? უბრალოდ გარკვეულ ასაკში ქალისთვის უკეთესია მაკიაჟი არ იხმაროს - და ხედავთ როგორი გასაოცარი შედეგია?!“ მაგრამ ამან არაფერი შეცვალა. სანამ ივანა კლინიკაში იწვა, მარლა ტრამპის სასახლეში ცხოვრობდა. ივანამ მტკიცედ გადაწყვიტა ამას ბოლო მოუღოს. ფინალური ლაპარაკი საოხილამურო კურორტ ასპენში უნდა შემდგარიყო. და ის შედგა, თუმცა არა ისე, როგორც ივანა იმედოვნებდა.

თოვლიან ფერდობზე ორი პატარა წერტილი მოჩანდა. წინ - მოუხერხებელი დონალდი, უკან განრისხებული, თმააფრიალებული ივანა. ის ლავირებდა, ერთ მკვეთრ მოსახვევში მარჯვედ ჩაჭრა დონალდი და ისიც ძალაგამოცლილი დაენარცხა თოვლში. ივანამ სულის მოთქმის საშუალებაც არ მისცა და სახეში ხელთათმანი უთავაზა.

- როგორ გაბედე მასთან ერთად აქ ჩამოსვლა?! აქ, ჩვენს საოჯახო კურორტზე?!

ივანა თავს ძლივს უყრიდა სიტყვებს. ღმერთმა იცის, მას არ სჯეროდა ბოლო წუთამდე. როცა გაიგო დონალდი მარლასთან ერთად ჩამოვიდა, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. გუშინ ამ კახპამ თვითონ მოირბინა ფერდობთან - ივანა ამ დროს თხილამურებს იცვამდა და მასთან ურთიერთობის გარკვევა მოინდომა.

აქ უკვე ვეღარ მოითმინა ივანამ. მისი პეწი და დახვეწილი მანერები თითქოს უკვალოდ გაქრა. გაიხსენა ყველა სალანძღავი სიტყვა, რაც კი ჩეხურ სპორტსკოლაში ჰქონდა ნასწავლი, პირში მიახალა გაოცებულ მარლას და ზედ მიაყოლა მძიმე მუჯლუგუნი: სუსტი მარლა ბურთივით დაგორდა მთიდან.



ღღეს კი ივანა და დონალდი ერთად მიქროდნენ მთებზე და გააფთრებით ჩხუბობდნენ.

... დონალდმა არჩევანი გააკეთა. ასპენში საახალწლო წვეულებაზე ის მარლასთან ერთად მივიდა. ივანა ნიუ-იორკში დაბრუნდა და რამდენიმე დღე აპარტამენტებში ჩაიკეტა. შემდეგ გამოიძახა ლიზა და განცხადება უკარნახა. ეს იყო მისი ბოლო, გადამწყვეტი ბრძოლა. მისი ქორწინება უიღბლო გამოდგა, მაგრამ კიდევ დარჩა სახელი და რეპუტაცია და ამისთვის ღირდა ბრძოლა.

თავის 41-ე დაბადების დღე ივანამ განცხადების გახმაურების რამდენიმე დღის შემდეგ აღნიშნა. ის მიდიოდა რესტორანში (იქ, სადაც პირველად შეხვდა დონალდს) როგორც საჯალათო კუნძთან: არავინ რომ არ მოვიდეს? ყველამ რომ ზურგი შეაქციოს?

ლიმუზინიდან გადმოსული ივანა გაშეშდა: რესტორნის შესასვლელთან უამრავი ხალხი იდგა. ივანას დანახვისას - (ალისფერი კაბა, გულმოდგინედ დავარცხნილი თმები, გაოცებული თვალები,) - ბრბო აღრიალდა: “ჩვენ შენთან ვართ!“ აქ რეპორტიორები, ტელევიზიის თანამშრომლები, მაგრამ ყველაზე მეტნი - მისთვის აბსოლუტურად უცნობი ადამიანები იყვნენ. მათ ეჭირათ პლაკატები და ყვიროდნენ: “დონალდ, წაეთრიე დისნეილენდში“. ბრბო გაიყო, მას ხელს უქნევდნენ, ვიღაცამ ფეხებში კანფეტებიც კი დაუყარა. შორეული ქვეყნიდან ჩამოსული გოგონა მოულოდნელად გახდა ამერიკის სიმბოლო ამერიკა მოვიდა მის დასაცავად.

ივანამ ყელში გაჩხერილი ნერწყვი გადაყლაპა და ხელით ქესტი გაა- „შამპანური! ყველას შამპანური ჩემს ანგარიშზე!“ - ხმამაღლა თქვა მან. კარებისკენ გადადგა ნაბიჯი და იგრძნო, რომ კიდევ რაღაცის გაკეთებაა საჭირო.

ივანა ხალხისკენ შემოტრიალდა და თავისი ცნობილი ჰოლივუდური მილით მრავალისმეტყველად გაიღიმა.

თარგმნა
ნინო დგებუაძემ

ამოდის, ნათდება!

სალომე ჯანელიძე, ათი წლისაა და უკვე მოწყენილი ციდან დაჰყურებს თავის სამშობლოს. სჯერა, რომ მართლაც გაიდება „მზის ოქროს ხიდი“, საქართველოს ცასა და მიწას შორის. დიახ, ნიჭიერება ღვთით მოვლენილი თვალშეუდგამი სინათლეა და ამ სინათლეს მოვლა სჭირდება.

ღმერთმა ხელი მოგიმართოს ჩემო სალომე, გწამდეს, გჯეროდეს, 2003 წელი შენი ნიჭითაც გაბრწყინდება.

ჯანსუღ ჩარკვიანი
2003 წლის 6 იანვარი

დოლი

იყო ერთი ღორმუცელა და მსუქანი დოლი. სულ ჭამდა და ვერ ძღებოდა. ერთ დღეს (ბედობის დღეს) ის სასეირნოდ წავიდა და თვალი მოჰკრა საკონდიტრო მაღაზიას. მაღაზიის ვიტრინებიდან თვალისმომჭრელად იცქირებოდა ნაირ-ნაირი ტკბილეული, თითქოს შესაჭმელად უხმობდნენ დოლს. დოლმაც ვეღარ მოითმინა, შეიპარა მაღაზიაში და საახალწლო ტკბილეული სულმთლად შესანსლა. ამ დროს მაღაზიის პატრონიც მოვიდა, დაინახა, თუ როგორ მიირთმევდა ჩვენი დოლი ტკბილეულს, გაბრაზდა და მაგრად მიბეგვა.

და რადგანაც ის დღე ბედობის დღე იყო, ჩვენს ღორმუცელა პერსონაჟსაც ცემა დაებედა. მას აქეთ არის, რაც უბრაგუნებენ და უბრაგუნებენ დოლს.

2001 წ. ნოემბერი

მარტოობა

რკინის საწოლი
ჭრიალა, ძველი,
ჯანსაღ თაობის მრავალ წელს მზრდელი,
ახლა ეზოში გადაგდებული,
პატრონზე ჩივის საწოლი ძველი.

სურათი

ფერმკრთალი ღრუბელი მოცურავს, მიდის,
მიწაზე გაიდო მზის ოქროს ხიდი,
ტოროლა ცისკენ მიფრინავს რიდით
და მიწის ფიქრიც ზეცისკენ მიდის.

რაჭა

მიტოვებული, ეული,
მთლად მორღვევია სხეული,
ზამთარში ორი ქალუკა -
მოხუცებული, სნეული...
ასეთი გამახსენდება
რაჭავ, ბავშვობის წლეული.

ჩანახატი

შემოდგომაა. მოწყენილ ციდან,
წვიმის წვეთები ნელ-ნელა ცვივა,
უკვე გვჭირდება ზამთრისთვის თივა,
ბაბუა ურმით მინდორში მივა,
სახლებში უკვე საკმაოდ ცივა,
ვაშლებიც ხიდან ცვივა და ცვივა,
ვეღარ ამოვა ზამთარში „ნივა“
ფოთლებიც ხიდან თანდათან ცვივა,
ცივა...

ვაგზლის მოედანი

მე მენატრება შენი ყაყანი,
მანდ დარწეულა ჩემი აკვანი
და ვთქვი პირველი ასო ანბანის.
მე მენატრება შენი ყაყანი.
მომნატრებიხარ, აყალმაყალო,
შენით იწყება ჩემთვის სამყარო.

სალომე ჯანელიძე

მაის-ივნისი 2003 წელი
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
და სალიტერატურო სამხატვრო
ჟურნალი

ქართული ლიტერატურა

შემოქმედებითი პროექტის
ხელმძღვანელი
ფრანსულ ჩარკვიანი

გამომცემელი
თამარ ჩარკვიანი
მხატვარ-დიზაინერი
ნანა გერასიმოვა
კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირაკლი ბელთაძე
კორექტორი
ცისანა სიჭინავა
ტექნიკური რედაქტორი
იამზე შარიქაძე

სარედაქციო საბჭო:

პასუხისმგებელი მდივანი
გულნარა ბახტაძე,
ვასილ გვეტაძე,
ციალა არდაშელია,
დინარა ნოდია,
ნუნუ კუჭრეიშვილი,
დავით სალარიძე,
ზურაბ კვანტრიშვილი,
თედო ნინიძე,
ელდარ შენგელაია,
ზურაბ წერეთელი,
თამაზ ჭილაძე.

ჟურნალი აიწყო, დაკაბადონდა და
დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარში“
მისამართი: თევდორე მღვდლის 57

40 S 4/5